ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 113 (19854) ◆ კვირა, 17 მაისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საფესტივალო ეკრანი გვიხმობს

ხვალიდან, 18 მაისიდან ერთი კვირის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი უმასპინძლებს საიუბილეო XX საკავშირო კინოფესტივალს, რომლის დევიზია: კინოხელოვნების მოქალაქეობრიობისათვის, მხატვრული და ზნეობრივი გამომსახველობისათვის.

კინოფესტივალი საზეიმოდ გაიხსნება ხვალ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში.

კინომოღვაწეთა ეს დღესასწაული თბილისში თავს მოუყრის ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა წამყვანი კინოსტუდიის წარმომადგენლებს, ცნობილ რეჟისორებს, მსახიობებს, კინოკრიტიკოსებს, კინოოსტატებს, აგრეთვე სტუმრებს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. საკონკურსოდ წარმოდგენილია უკანასკნელ ხანს სტუდიებში შექმნილი საუკეთესო საბჭოთა კინონაწარმოებები.

საკონკურსოდ წარმოდგენილ ფილმებს შეაფასებს ოთხი ჟიური. აღსანიშნავია, რომ ოთხივე ჟიურის უხელმძღვანელებენ ცნობილი ქართველი ოსტატები. მხატვრული ფილმებისას — ე. შენგელაია, საბავშვო ფილმებისას — ლ. ღოღობერიძე, მულტიპლიკაციური ფილმებისას — რ. გაბრიაძე და სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმებისას კი. მ. კოკოჩაშვილი.

საფესტივალო ფილმების ჩვენება გაიმართება კინოთეატრებში „რუსთაველში“, „ამირანში“, „ოქმაკავშირელში“. კონკურსგარეშე ფილმების ჩვენება კი მოეწყობა კინოთეატრ „ოქტომბერში“.

ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ქართული კინემატოგრაფიის შემდეგი ნამუშევრები: რეჟისორ თ. აბულაძის ფილმი „მონანიება“, რეჟისორების ლ. ბაქრაძის და თ. დოლიძის დოკუმენტური ფილმები „ლენინი და საქართველო“, „ამხანაგი სერგო, დიდი ცხოვრების ფურცლები“, ვ. სემიონოვის „გზანი წამებისანი“. მულტიპლიკატორების ბ. შოშიტაიშვილის, დ. სიხარულიძის ფილმები „ფაკირი“ და „ჯან ბაბაჯან“.

საინტერესო და მრავალსმომავლიანი კინოფესტივალის პროგრამა. მონაწილენი და სტუმრები შეხვდებიან თბილისის მოწინავე საწარმოების შრომითს კოლექტივებს, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითს კოლექტივებს, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სტუდიის „პიონერ-ფილმის“ წევრებს. აგრეთვე მცხეთის, გურჯაანის, საგარეჯოს, გორის, ჟელავის, ყვარლის რაიონების მშრომელებს. დაესწრებიან რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური და კინომსახიობთა თეატრების სპექტაკლებს.

თბილისის კინემატოგრაფისტთა სახლის დიდ დარბაზში გაიმართება ცნობილი რეჟისორების ს. გერასიმოვის, ა. ტარკოვსკის, ი. ავერბახის ხსოვნის საღამოები. აქვე მოეწყობა მხატვარ-ფოტოგრაფის ნ. გნესიუკის ნამუშევრების გამოფენა.

„როგორი იქნება საბჭოთა კინო ხვალ?“ — ამ თემაზე „თავისუფალი ტრიბუნა“ კინოს სახლში სადისკუსიოდ მოუხმობს ცნობილ კინომოღვაწეებს, კინოხელოვნების მოყვარულთ.

დაწესებულია ფესტივალის ერთი მთავარი პრიზი, აგრეთვე თორმეტი სხვადასხვა პრიზი და სამი რესპუბლიკის შემოქმედებითი ორგანიზაციების, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს პროფსაბჭოს საზოგადოებრივი პრიზები.

კინოფესტივალი საზეიმოდ დაიხურება 24 მაისს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში. სწორედ აქ გახდება საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გამარჯვებულთა სახელები.

(„კომუნისტის“ კორ.).

გვახსოვდეს ნაკისრი ვალდებულებანი

ალკკ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასაბამი მისცა ჩვენი საზოგადოების გარდაქმნის მნიშვნელოვან ეტაპს, განსაზღვრა მისი პრაქტიკული გზები, აღნიშნა ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის აპრილის პლენუმზე; თითქმის ორი წლის განმავლობაში — აპრილიდან იანვრამდე — ქვეყანა გადადიოდა თავისი მოძრაობის ახალ რელსებზე, უძრაობიდან — მასების შემოქმედებითი ინიციატივის გამოცოცხლებისაკენ. სამი თვე იანვრიდან აპრილამდე რომ გავიდა, ჩვენი პარტიორგანიზაციისათვის იყო ახალი პროცესების წვდომისა და გაგების, რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გააქტიურების დრო. და ახლა ჩვენ შევიკრიბეთ, რათა დავაკონკრეტოთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მოქმედების ტაქტიკა.

იმ მეტად პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობასა და, კერძოდ, მრეწველობას დაუსახა პლენუმმა, ერთ-ერთი ნამყვანი როლი განკუთვნება სოციალისტური შეჯიბრების სწორ ორგანიზაციას, მის ნამდვილ ქმედითობას, ამ საქმეში ფორმალიზმის მთლიანად აღმოფხვრას, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისადმი მუდმივი კონტროლის დაწესებას.

როგორც ვიცით, ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებული შესრულებისათვის გაწეული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს რესპუბლიკაში ხორციელდებოდა მუშაობა დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, მეურნეობრიობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნისათვის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების ახალ სისტემაზე საწარმოების, გაერთიანებებისა და დარგების გადაყვანისათვის, პროდუქციის სახელმწიფო მიღების დანერგვისათვის. შესრულებულია სამრეწველო პროდუქციის გეგმის გადამეტებით გამოშვების სოციალისტური ვალდებულებანი, გაიზარდა წარმოების ეფექტიანობა.

აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ შრომითი კოლექტივების მიერ გადასაწყვეტი კონკრეტული ეკონომიკური და სოციალური ამოცანებისაგან სოციალისტური შეჯიბრების მოწყვეტის შედეგად სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში შრომითი შეჯიბრება ნელა თავისუფლდება ფორმალიზმისაგან, სუსტად ახდენს გავლენას წარმოების საბოლოო შედეგებზე, დისციპლინისა და სახელმწიფო წესრიგის განმტკიცებაზე. ვერ შესრულდა მთლიანად მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდების წლიური გეგმა. შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე უმნიშვნელოვანესი სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების, კავშირგაბმულობის პროდუქციის მოცულობის, საცალო საქონელბრუნვის სოციალისტური ვალდებულებანი.

როგორც უკვე ითქვა, რესპუბლიკის მრეწველობამ ვერ შეასრულა პროდუქციის ვალდებულებით გათვალისწინებული მიწოდების წლიური გეგმა. ლაპარაკია მაჩვენებლებზე, რომლებსაც ასლებურად მუშაობის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სახელშეკრულებო დისციპლინის დაუცველად ვერავითარ საბოლოო შედეგებს ვერ მივაღწევთ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მდგომარეობა ამ მხრივ არც მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გამოსწორებულა. მომხმარებელს სამ თვეში დააკლდა ნომენკლატურით გათვალისწინებული 33,5 მილიონი მანეთის პროდუქცია. სცოდავენ ამ საქმეში როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული საწარმოები.

ჩამორჩენილი საწარმოებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელებს ერთხელ კიდევ შევახსენებთ: საქართველოს სსრ მშრომელთა მიერ მიმდინარე წლისათვის ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებებში ჩაწერილია, რომ სრული მოცულობით შესრულდება ნომენკლატურის გეგმა, დროულად და ოპერატიულად მოხდება რეაგირება სახალხო მოხმარების საქონლის ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებებზე, მოგვარდება წარმოების ნორმალური რიტმი და ამის საფუძველზე არსებითად განმტკიცდება სამეურნეო-სახელშეკრულებო დისციპლინა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გარდაქმნა სიტყვისა და საქმის შესაბამისობას მოითხოვს.

ზემოხსენებულ დადგენილებაში აღნიშნულია ისიც, რომ ვერ შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მარშანდული სოციალისტური ვალდებულებანი. წლევანდელი სოციალისტური ვალდებულების მიხედვით შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობაში ერთი პროცენტის გადაჭარბებით უნდა შესრულდეს. როგორ მიდის საქმე?

სამი თვის მონაცემებით, ზრდამ გეგმით გათვალისწინებულზე მეტი — 102,7 პროცენტი შეადგინა, და ეს მოხდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული საწარმოების ხარჯზე. საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა კი ვერ გაართვეს თავი ამ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებლის შესრულებას. კიდევ უფრო არასასიამოვნო ფაქტია ის, რომ რესპუბლიკის მრეწველობამ მთლიანად შეამცირა შარშანდელ შესაბამის პერიოდში ამ მხრივ მიღწეული დონე და მისმა ზრდის ტემპმა 99,9 პროცენტი შეადგინა.

სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება ვალდებულებით ხელფასის ფონდის ყოველ მანეთზე 1.60 კაპიკით უნდა გადიდდეს. მართალია, იანვარ-მარტის გეგმა ამ მხრივ საცალო ფასებით 33,5 მილიონი მანეთის გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ აქ დასამშვიდებელი არაფერია. ცალკეულმა რესპუბლიკურმა სამინისტროებმა და საკავშირო დაქვემდებარების დიდმა გაერთიანებებმა დავალებების რეალიზაციას ასიათასობით მანეთის ნაწარმი დაკლეს. ზოგიერთი მათგანი წლეულს მეურნეობრიობის ახალ პირობებში, კერძოდ, პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე მუშაობს და, როგორც ჩანს, ამ საკითხს ალარ აქცევს სათანადო ყურადღებას. თუ ასე გაგრძელდა, სოციალისტური ვალდებულება ვერ შესრულდება.

უზრუნველყოფთ პროდუქციის თვითღირებულების ზეგეგმით შემცირებას, — ჩაწერილია საქართველოს მშრომელების 1987 წლის სოციალისტურ ვალდებულებებში. ცალკეულმა სამინისტროებმა, უწყებებმა, გაერთიანებებმა და საწარმოებმა შეასრულეს ამ მიმართულებით ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და აქაც ძირითადად რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა საწარმოებმა იმარჯვეს. რაც შეეხება საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს, მათ მარტო იანვარში გადახარჯეს 5,6 მილიონი მანეთი და მძიმე მდგომარეობაში ჩავვაყენეს. ასეთი უყაირათო გარჯის შედეგად (თუ ამას გარჯა შეიძლება ეწოდოს!) მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში სასაქონლო პროდუქცია 4,1 მილიონი მანეთით გაძვირდა.

უნდა ვიხელმძღვანელოთ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე იმ მოთხოვნით, რომ ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და შემდგომი პერიოდის გეგმები უმკაცრეს მომზირნეობას ეფუძნება. სხვანაირად პროდუქციის თვითღირებულების ზეგეგმით შემცირებასთან დაკავშირებული ვალდებულება ქაღალდზე დარჩება.

მშენებლობაში შექმნილი მდგომარეობა საყოველთაოდ ცნობილია, და ახლა არც ამაზე ვიმსჯელებთ. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მიმდინარე წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულების თანახმად, მშენებლებმა აქტიური მუშაობა უნდა გაშალონ, რათა სრულყონ სამეურნეო მექანიზმი, გაზარდონ წარმოების ეფექტიანობა, გაუმჯობესონ მშენებლობის, კონსტრუქციებისა და მასალების ხარისხი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შრომის მექანიკური აღჭურვილობის მაჩვენებლის გადიდებას. შრომის ნაყოფიერება ზეგეგმით ორი პროცენტით უნდა გაიზარდოს, მექანიზებული გახდეს 10 ათასი მუშის შრომა, საგრძნობლად შემცირდეს კადრების დენადობა დარგის განვითარებისათვის დასახული სოციალური პროგრამების გადაწყვეტის გზით.

წლეულს სრულდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავი. ღირსეულად შევხვდეთ საბჭოთა ხალხის ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, პირნათლად შევასრულოთ მიმდინარე წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი!

მ. ს. გორბაჩოვისა და ჟაკ შირაკის შეხვედრა

15 მაისს მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს ჟ. შირაკს.

საუბრის ძირითადი ნაწილი მიეძღვნა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. ამ ურთიერთობას, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, მნიშვნელოვანი იმპულსები სჭირდება, რათა სრულად აღორძინდეს მისი უწინდელი მეგობრული ხასიათი. ჩვენ მისი შესუსტების წინააღმდეგი ვართ, მიგვაჩნია, რომ სსრ კავშირსა და საფრანგეთს თავიანთი დიდი პასუხისმგებლობის წილი აკისრიათ, განსაკუთრებით საერთაშორისო განვითარების ახლანდელი შემობრუნების ეტაპზე, და ბევრი პოზიტიური საქმის გაკეთება შეუძლიათ. ჯერჯერობით ამას ხელს უშლის აზროვნების მოძველებული კომპლექსები და სტერეოტიპები. ჟ. შირაკის ყურადღება მიპყრეს იმის, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობა გაოცებითა და შეშფოთებით ადევნებს თვალს, თუ როგორ ძლიერდება ანტისაბჭოურობის გამოვლინებანი საფრანგეთში.

ჟ. შირაკმა თქვა, რომ სასურველია საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა გამოსწორდეს ეკონომიკურ კავშირურთიერთობაში, სამეცნიერო და კულტურული თანამშრომლობის სფეროში პრაქტიკულ ღონისძიებათა გზით, გამოთქვა ზოგიერთი წინადადება.

გაიმართა საფუძვლიანი აზრთა გაზიარება განიარაღების, ბირთვული იარაღისაგან ევროპის განთავისუფლების საკითხებზე, შეეხნენ პოზიციას, რომელიც დაიკავეს ნატოს ქვეყნებმა და საერთაშორისო საზოგადოებრიობამ საშუალო სიშორის რაკეტებისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების შესახებ საბჭოთა კავშირის ინიციატივების მიმართ. მ. ს. გორბაჩოვმა გამოთქვა იმედი, რომ საფრანგეთის ხელმძღვანელობა კონსტრუქციულ წვლილს შეიტანს იმ მორიგებათა ძიებაში, რომლებიც შესაძლებელს გახდის გადაიდგას პირველი, გადამწყვეტი ნაბიჯი რეალური განიარაღების გზაზე, რასაც ელის ყველა ხალხი და რაც შეამსუბუქებს მძაფრი პოზიტიური შემობრუნების მიღწევას მთელ მსოფლიო პოლიტიკაში.

თანამოსაუბრის თხოვნით მ. ს. გორბაჩოვმა მოკლედ ჩამოაყალიბა გარდაქმნის იდეების პრინციპები, მიზნები და შეთოდები, რომელიც საზოგადოების დემოკრატიზაციის მეთხებით ეტაპობრივად გაიყვანს სოციალიზმს თვისებრივად ახალ დონეზე. ეს ძნელი სამუშაოა, და მთავარი ჯერ კიდევ წინ არის. საქმე ბევრი გვაქვს. ასე რომ, შინაც ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი, და სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა სავსებით შეესაბამება საშინაო პროცესების ხასიათს, მათს აღმშენებლობითს მიზნებს, გამოხატავს საბჭოთა საზოგადოების საარსებო მოთხოვნილებებს.

გარდაქმნა — ეს არის იმ სოციალისტური არჩევნის ახალ პირობებში განვითარება, რომელიც ჩვენმა ხალხმა მოახდინა 1917 წელს. ახალი აზროვნება შეიცავს თითოეული ხალხის საკუთარი, დამოუკიდებელი არჩევნის უფლების აღიარებას. ისტორია კი განსჯის, ვისი არჩევანია უკეთესი. კარგიც არის, რომ ყველა სხვადასხვანაირია. ეს იმპულსსაც კი ანიჭებს განვითარებას და სავსებით თავსდება მარქსისტული დიალექტიკის (წინააღმდეგობათა ერთიანობა) ჩარჩოებში, რომელიც საფუძვლად უდევს თანაარსებობის, მშვიდობიანი პაექრობისა და ურთიერთის კონკეფციას.

ჟ. შირაკმა წარმატებები უსურვა გარდაქმნას, უწოდა მას სოცაური, შთამბეჭდავი მოვლენა, რომელიც საუკუნის დამლევის უმნიშვნელოვანეს საქმედ აღიქმება. გამოთქვა იმედი, რომ იგი გაიაუჯრესებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობას, ახალი კლიმატი შეიქმნება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში.

მხარეები შეეხნენ სხვა საკითხებსაც, მათ შორის ისეთი მსოფლიო მნიშვნელობის საკითხს, როგორიც არის სიღატაკის დაძლევა მსოფლიოს უდიდეს ნაწილში და „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ ახალი ურთიერთობის დამყარების საჭიროება.

საუბარი პირდაპირი და გულახდილი იყო, რამაც შეესაძლებელი გახადა შეეპირისპირებინათ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის პოლიტიკური დიალოგის განვითარებისათვის სასარგებლო შეხედულებანი და პოზიციები, და, როგორც მ. ს. გორბაჩოვმა დასასრულ თქვა, მისი შედეგების გამო საფერალი გვრჩება თქვენც და ჩვენც.

საუბარში მონაწილეობდნენ ე. ა. შევარდნაძე, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. ბ. რიმონი.

* * *

პრემიერ-მინისტრი ესტუმრა სსრ კავშირს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს.

სტუმარს მიესალმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გ. ი. მარჩუკი, რომელმაც აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას ფართო სამეცნიერო კონტაქტები აქვს. ერთობლივი სამუშაოები მოიცავს ისეთ დარგებს, როგორიც არის კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი ათვისება, მათემატიკა, ასტრონომია, ასტროფიზიკა, მაღალი ტემპერატურების ფიზიკა, ქიმიური ფიზიკა და სხვ.

საბჭოთა კავშირი, თქვა პრემიერ-მინისტრმა, დაადგა გარდაქმნისა და მოდერნიზაციის — იმ წამოწყების ფართო პოლიტიკის გზას, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და მისი თანამემამულეების დიდ ინტერესს იწვევს. სტუმარმა დაფასება მისცა საბჭოთა კავშირის კოსმოსური კვლევის პროგრამას და განაცხადა, რომ საფრანგეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ დარგში თანამშრომლობას, რომლის კონკრეტული განხორციელება გახდა 1982 წელს პირველი ფრანგი კოსმონავტის ფრენა. ჟ. შირაკმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიების კონტაქტების გაფართოებას, ამას, რომ მეცნიერთა თანამშრომლობა ხელს უწყობდეს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

* * *

საღამოს პრემიერ-მინისტრმა კრემლის ყრილობათა სასახლეში ნახა ლ. მინკუსის ბალეტი „დონ კიხოტი“.

სტუმართან ერთად იყო ნ. ი. რიჟკოვი. (საკდესი).

სურათზე: მ. ს. გორბაჩოვისა და ჟ. შირაკის შეხვედრის დროს. საკდეს-საკინფორმის ტელეფოტო.

საგინაო მშენებლობა: ჩამორჩენა არ აღმოფხვრილა

საგინაო მშენებლობაში წლის დამდეგიდან წარმომნილი ჩამორჩენის ლიკვიდაცია ვერ შეძლეს რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებმა. ოთხი თვის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა 232 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, მაშინ როცა წლის პირველი ნახევრის გეგმა 522 ათას 516 კვადრატული მეტრია. თუ მშენებლობის სამინისტრომ შეამციროს სხვაობა, საქაგრომშენმა, პირიქით, გაზარდა იგი. იმისათვის, რომ ანაზღაურონ გაცდენილი, რესპუბლიკის მშენებლებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ რეზერვები, მოაგვარონ სამუშაოთა ზუსტი რიტმი, აღინიშნა რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსის მუშაობასთან დაკავშირებული ამოცანების ოპერატიული გადაწყვეტის სამუშაო ჯგუფის თათბირზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა.

სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში მძიმე ვითარება შეიქმნა. თითქოს ბევრი, სრულიად ობიექტური მიზეზია, რომლებიც ხელს უშლის გეგმების შესრულებას, მაგრამ, თუ ყურადღებით გავაანალიზებთ სიტუაციას, ცხადი გახდება, რომ ბევრ შემთხვევაში ბრალი მიუძღვის ადგილებზე სამუშაოთა ცუდ ორგანიზაციას. მშენებლობის ქვეგანაყოფების ხელმძღვანელები ყველგან როდი ფლობენ სრულად სიტუაციას, ვერ უძღვებიან შრომითს კოლექტივებს, არ არის გააქტიურებული ადამიანის ფაქტორი.

თუმცა ბოლო დროს მტკიცე ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ბინების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ სასურველი დონის მიღწევა ჯერ კიდევ შორს არის. ამიტომ მშენებელთა უმნიშვნელოვანესი ამოცანა კვლავ არის საექსპლოატაციოდ გადაცემული სახლების ხარისხი.

ამავე დროს უნდა გადაიჭრას სამშენებლო კონვეიერის შეუფერხებელ მუშაობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. მათ შორის ისეთი, როგორიც არის ხარისხიანი საშენი მასალებით მშენებარე ობიექტების დროული უზრუნველყოფა. საგრძნობი ძვრები ამ საქმეში ჯერ არ მომხდარა. შეშფოთებას იწვევს ცემენტის ქრონიკული ნაკლებობა. წლის დამდეგიდან შექმნილი სხვაობა უკვე 50 ათას ტონას აღემატება. კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატი, თუმცა ჩაება საწარმოო რიტმში, ამ სხვაობის აღმოფხვრას ვერ შეძლებს. ამიტომ სხვაგან უნდა ვეძებოთ რეზერვები და უფრო სრულად გამოვიყენოთ ისინი.

კიდევ უფრო ნაკლებ ყურადღებას იჩენენ მშენებელთა საპირობებისადმი რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკები. მიმდინარე წლის დამდეგიდან ამერკავკასიის რკინიგზას ვალად დაედო მშენებელთა ასობით ვაგონი.

თათბირზე აღინიშნა, რომ მშენებლებს მართლაც მრავალი პრობლემა აქვთ გადასაჭრელი. მაგრამ წამოჭრა საკმარისი არ არის. აქტიურად, განუხრელად უნდა ვეძებოთ მისი გადაჭრის გზები. ამ საქმეში მაგალითი უნდა გვიჩვენონ შესაბამისი დარგების ხელმძღვანელებმა.

წლის პირველი ნახევრის დამლევამდე თვე-ნახევარი დარჩა. თუ მაქსიმალური ეფექტიანობით გამოვიყენებთ ყოველ სამუშაო დღეს, სრულად დავტვირთავთ ტექნიკას, მოვაწყობთ 2-3-ცვლიან მუშაობას, ჩამორჩენას დაეძლევთ. ახალმოსახლეობას ელის ათასობით ოჯახი, და ხალხი ბინებში დროულად უნდა შესახლდეს.

თათბირზე აგრეთვე განიხილეს აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქალაქების ქუთაისის, გორის, რუსთავის საბინაო მშენებლობის მდგომარეობა.

(საკინფორმი).

არჩევნების წინასწარ

განიხილავს სოფლის ყრილობა

საველე ბანაკებიდან, სადაც ამ დღეებში მთავრდება ჩაის პლანტაციების კულტივაცია და სხვა სამუშაოები, კოლმეურნეები მოვიდნენ კულტურის სახლში გამართულ სოფლის ყრილობაზე, რათა დაესახელებინათ ოჩამჩირის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები. გასული წლებისაგან განსხვავებით ეს კრება ეწყობა მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით ქვეყანაში მიმდინარე ექსპერიმენტის ფარგლებში. პირველად უნდა წამოაყენონ დეპუტატის ერთ მანდატზე რამდენიმე პრეტენდენტი.

საარჩევნო სისტემაში მომხდარმა ცვლილებებმა განსაზღვრა კრების ატმოსფერო, არჩევნები ძველებურად რომ გამართულიყო, საუბარი შემოიფარგლებოდა უმთავრესად კანდიდატების ბიოგრაფიით. ახლა კი მიმდინარეობდა გულახდილი აზრთა გაზიარება. არა მარტო მათ შესახებ, არამედ კოლმეურნეობის საქმეების შესახებაც. სხვათა შორის იმათაც, ვისაც ყრილობაზე ასახელებენ სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს დეპუტატებად სერიოზული განაწესები ეძლევათ — მეურნეობაში ხომ ჯერ კიდევ მრავალი პრობლემაა.

თავს უხერხულად გრძნობდა ყრილობაზე სასოფლო საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი. ამომრჩეველთა ყველა ადრინდელი განაწესი როდი შესრულდა.

...ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში საიდუმლო კენჭისყრის სიებში შესაყვანად სოფლმა კუტოლმა დასახელა კანდიდატურები. კრებაზე ერთ-ერთი პირველი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე მ.გურგულია დასახელეს.

— ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ მიზეილ ალმასხანის ძე გურგულიას, — თქვა კოლმეურნე ალექსი მანიამ, რომელმაც დასახელა მისი კანდიდატურა, — ვიცნობთ როგორც გულისხმიერ კაცს, პრინციპულ და მომთხოვნელ ხელმძღვანელს, რომელსაც გული შესტკივა კოლმეურნეობის საქმეებისათვის და ზრუნავს ადამიანებზე.

შრომის ვეტერანმა შოთა ჯალაღონიამ დეპუტატობის კანდიდატად დასახელა მეცხრე ბრიგადის ხელმძღვანელი ჭიჭიკო გოგოხია. მის კანდიდატურას აგრეთვე მხარი დაუჭირა რესპუბლიკის წარჩინებულმა მეჩაიემ, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატმა ლუბოვ კასლანდიამ.

— მის გვერდით გატარებული წლები, — თქვა მან, — მაძლევს უფლებას ვიმსჯელო მასზე როგორც თავისი საქმის ოსტატზე, რომლისთვისაც მუშაობა თვით ცხოვრებაა.

აზრთა გაზიარება გაგრძელდა. კოლმეურნეებმა დასახელეს ნაცნობი გვარები, აქტიურად და დაინტერესებით იმსჯელეს თითოეული კანდიდატის პირად თვისებებზე. დეპუტატების კანდიდატებად დასახელეს აგრეთვე მეჩაიე როზა გამგია, კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი ბორის ტაბაღუა, პარტიის ოჩამჩირის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, სოფლის მკვიდრი ალექსი ჭაღავა, ადგილობრივი ჩაის ფაბრიკის ლაბორანტი მადონა ლასურია. შეკრებილთა გადაწყვეტილება ერთსულოვანი იყო: თითოეულ დასახელებულ კანდიდატს მისცენ უფლება კენჭი იყაროს რაიონული საბჭოს არჩევნებში.

სოფლის ყრილობაზე გამოვიდა რაიკომსკომის თავმჯდომარე ტ. ქაქუჩაია, რომელმაც თქვა, რომ ხუთ მანდატზე დასახელებულია ექვსი კანდიდატურა. იმ შემთხვევაში, თუ მათ ყველას აირჩევენ, ის, რომელიც ხმების ყველაზე ნაკლებ რაოდენობას მოაგროვებს, სარეზერვო დეპუტატი გახდება.

თ. ჯიბუტი.

საქართველოში იმყოფებოდა სსრ კავშირის თევზის მეურნეობის მინისტრი ნ. ი. კოტლიარი. იგი ეწვია აჭარის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს, ბათუმის თევზის გადასამუშავებელ ქარხანას, თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილებას, დაათვალიერა ფოთის სანაოსნო სკოლა და გემთსარეჰონტო-გემთსაშენებელი ქარხანა, ადგილობრივი საზღვაო ნავსადგური, ლანჩხუთის თევზის გადასამუშაებელი ქარხანა, სოხუმისა და გაგრის თევზის გადასამუშავებელი და სოხუმის სამეურნეობათშორისო გემთსარემონტო საწარმოები, დარგის სხვა ობიექტები.

ნ. ი. კოტლიარი ესაუბრა თევზის მეურნეობის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებს, სპეციალისტებს, ხელმძღვანელებს, გაეცნო რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მუშაობას დარგის განვითარებისათვის და დაინტერესდა წარმოების ინტენსიფიკაციის, კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის საკითხებით, თევზის მეურნეობის ორგანიზაციული სტრუქტურით, წარმოების მუშაკთა შრომისა და ყოფის პირობებით.

მან მთლიანად დადებითი შეფასება მისცა მუშაობას, რომელიც რესპუბლიკაში ხორციელდება იმისათვის, რომ განავითაროს თევზის მეურნეობა და მეთევზეობა, გამოიყენონ არსებული რესურსები და რეზერვები თევზჭერის გადიდებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ნაკლოვანებებს, ჯერ კიდევ არსებულ გადასაჭრელ პრობლემებს. კერძოდ, აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში კიდევ ბევრია გამოუყენებელი რეზერვები, რომლებიც პრაქტიკულად არის თითოეულ რაიონში, ბევრ მეურნეობაში. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, დანაკარგების, უყაირათობის გამოვლინების ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და თევზის მარაგის მოვლა-შენახვისათვის.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებანი ცხოვრების ყველა სფეროში უმჯობლოდ ეხება თევზის დარგსაც. აქ მეტად საჭიროა მუშაობა წარიმართოს დღევანდელ მოთხოვნათა კალაპოტით. გარდაქმნა უნდა განხორციელდეს ყველა ქვეგანაყოფში, ყველა საწარმოში, თითოეულ შრომითს კოლექტივში. დისციპლინისა და პასუხისმგებლობის გაძლიერება, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, შრომის ახალი ფორმებისა და მეთოდების ათვისება — აი, ის პარამეტრები, რომლებსაც უნდა დაეყრდნონ თავიანთ საქმიანობაში მეურნეობებისა და საწარმოების ხელმძღვანელები, საწარმოო კოლექტივები.

ნ. ი. კოტლიარმა ყურადღება მიაპყრო იმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, მეცნიერული კვლევის დაჩქ

დირექტორის მომხრეები და მოწინააღმდეგეები

თეთრი წყაროს რაიონში მოხდა მოვლენა, რომელმაც საზოგადოებრიობისა და მშრომელთა დიდი დაინტერესება გამოიწვია. საერთო კრებებზე აირჩიეს ბორბალოს და სამშენებლო საბჭოთა მეურნეობების დირექტორები. დიახ, აირჩიეს არა პარტიული მდივანი, არა პროფკომის თავმჯდომარე, არა დეპუტატი, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა, არამედ საწარმოთა ხელმძღვანელები.

ამ მეურნეობებში შეეჩვევნენ, რომ დირექტორები ინიშნებოდნენ „ზემოდან“. ეს ფორმა იმდენად ჩვეულებრივი გახდა, რომ ადამიანებს სხვანაირად უკვე ვერც წარმოედგინთ. და აი, არჩევნები.

კრებები დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ვეტერმერეთ ბორბალოს მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს. ადმინისტრაციული სახლის ფოიეში ასეთი საუბრის მოწმენი გავხდით:

— სხვათა შორის გვიწვევენ, ჩვენს აზრს მაინც არავინ გაითვალისწინებს, — ამბობდნენ ერთნი.

— დროს მაინც რაღაზე გვაკარგვინებენ, ვინც უნდათ, უკვე არჩეულები იყოლნებათ, — იმეორებდნენ სხვანი.

ზოგი კრებაზე მაინც მოვიდა —ერთიც ვნახოთ, მართლაც თუ აპირებენ არჩევნების „ტრადიციული“ წესების შეცვლას და ფორმალიზმს თუ მოიღება ბოლოო...

და მაინც, უმეტესობას სწამდა, რომ სწორედ მათ ნებაზეა დამოკიდებული, ვინ ჩაიბარებს ხვალ „მეურნეობის საჭეს“. კრებაც დანიშნულ დროს დაიწყო. საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და სპეციალისტებმა, წარმოების საუალო რგოლის მეთაურებმა განსაკუთრებული ინტერესით და საქმიანად განიხილეს დირექტორობის კანდიდატურები. ისინი კი ორნი იყვნენ: რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარი აგრონომი დავით სულხანიშვილი და ამავე გაერთიანების სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის, შენახვისა და გადამუშავების ინსპექტორი ვალერიან ჩხაიძე. ორივე კარგ ხანაა სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობს რაიონში, სხვადასხვა სოფლებში, თვით ბორბალოშიც უმუშავიათ და კარგად იცნობენ ერთიერთ მშრომელები, ორივემ კარგად იცის სოფლის მეურნეობა და ღირსეულად იღებენან მისი განვითარებისათვის.

მეურნეობის საერთო კრებაზე გამოსულებმა მეცხოველეობის მეორე გამსუქებელთა ბრიგადის ბრიგადირმა დ. ყელბერაშვილმა, ავტოპარკის გამგემ გ. ლევანიშვილმა, მეძროხეთა მეორე ბრიგადის ბრიგადირმა გ. პეტრიაშვილმა, მუშებმა რ. გოგაშვილმა, ვ. ნიაზაშვილმა და სხვებმა ერთმანეთს ვაუზიარეს თავიანთი ფიქრები და საზრუნავი: როგორ გავუმჯობესოთ მუშაობა, მეურნეობის საფინანსო და ეკონომიკური მაჩვენებლები. მათი საუბარი ეხებოდა ყველაზე მტკივნეულ საკითხს: მეურნეობის მუშათა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. კრების იმ 120 მონაწილიდან, რომლებიც დარბაზში ისხდნენ, არავინ დარჩენილა გულგრილი. ორატორები ზედიზედ ითხოვდნენ სიტყვას და გულწრფელად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრსა და მისწრაფებას.

— მეურნეობა წლების მანძილზე ერთ ადგილს ტკეპნის, — თქვეს მათ,—დაბალია შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა, სუსტად ინერგება შრომის მოწინავე მეთოდები, კერძოდ, სამეურნეო ანგარიში, კოლექტიური და ოჯახური იჯარა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, ამიტომ დაბალია სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე, მეტისმეტად ძვირია პროდუქცია, მეურნეობის ძირითადი დარგები არარენტაბელურია. მინდვრებისა და ფერმების მშრომელებს არც დასვენებისა და გართობის ნორმალური პირობები აქვთ. ყოფილმა ხელმძღვანელებმა სწორედ ამ ამოცანებს ვერ გაართვეს თავი და კოლექტივის ნდობაც დაკარგეს.

განიხილავდნენ კანდიდატურებს, მუშები მკაცრად აფასებდნენ მათს ღირსებებსა და ნაკლოვანებებს, აღნიშნავდნენ, როგორი უნდა იყოს თანამედროვე ხელმძღვანელი. რაც მთავარია, კრების მონაწილენი კმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ მათს ნებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული და მათს აზრს ანგარიშს უწევენ. არანაკლებ საინტერესო იყო ხმის მიცემა, რომელიც კრების მონაწილეთა მოთხოვნით ღია კენჭისყრით მოეწყო. ხმის დათვლის შედეგად გამოვლინდა, რომ მეტი მომხრე აღმოაჩნდა დ. სულხანშვილს.

— არჩევნებით ძალიან კმაყოფილი ვარ, — განაცხადა ვ. ჩხაიძემ, — თუმცა უპირატესობა დ. სულხანიშვილის მხარეს აღმოჩნდა, იგი ყოველმხრივ ღირსია უხელმძღვანელოს მრავალდარგოვან მეურნეობას, მას მეტი გამოცდილება აქვს, ცხოვრების დიდი გზა გაიარა — რაგითი მუშიდან რაიონული მასშტაბის ერთ-ერთ ხელმძღვანელ მუშაკამდე; ამ მეურნეობაშიც მუშაობდა ბრიგადირად, აქედან დაწინაურდა — ყველაფერს ამას მნიშვნელობა აქვს.

ასევე ორ კანდიდატურას უყარეს კენჭი სამშენებლო მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის პოსტზე. მეურნეობის ყოფილი დირექტორი მ. მიზროიანი გათავისუფლეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის. ხმის უმრავლესობით დირექტორად აირჩიეს ამავე მეურნეობის მთავარი ვეტერინარი პ. კარაშვილი. მისმა მეტოქემ, ვეტერინარმა გ. ტარახანიამ რამდენიმე ხმით ნაკლები მიიღო, მაგრამ იგი მაინც კმაყოფილი დარჩა, რომ ასე აფასებენ სამშენელდის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები. — ეს ძალას მმატებს შემდგომში ვიშრომო მეტი ენერგიით და თავდადებითო, — თქვა მან.

კრების შემდეგ სამშენელდელები ამბობდნენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ ბოლო მოეღება ხელმძღვანელთა დანიშვნას ნათლიმამობის, ძმაბიჭობისა და პირადი ერთგულების, პროტექციონიზმის პრინციპით. განსაკუთრებით შელახული რეპუტაციის ადამიანების დაწინაურებას.

ორივე საბჭოთა მეურნეობაში მშრომელთა საერთო კრებებს დაესწრნენ პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის მეორე მდივანი ჯ. წოკლაური და რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ა. მესხიშვილი. მათ თქვეს: არჩევნები დიდი გაკვეთილი იყო არა მარტო ამ საბჭოთა მეურნეობების მშრომელთათვის, არამედ პარტიის რაიკომისა და გაერთიანებისათვის. მან გულწრფელობისა და გულახდილობის, დიდი მომთხოვნელობის, გაბედული, საქმიანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა. მართალია იყვნენ მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც, მაგრამ დემოკრატიის ასეთი განვითარება დიდად შეუწყობს ხელს კოლექტივის პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის დონის ამაღლებას.

დ. ბიწაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ორიენტირებს სახავს დრო

რესპუბლიკის მეცნიერების შემდგომი განვითარების პრობლემები, პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მისი საქმიანობის გაღრმავნის გზები განიხილეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო წლიერ კრებაზე. პროგრესული მეცნიერული ნაშუშევრების დანერგვის მექანიზმის სრულყოფა, ეფექტური ტექნოლოგიების შექმნა, გამოკვლევათა ფართო კომპიუტერიზაცია, მსოფლიო დონის მიღწევა — ასე განისაზღვრა საქართველოს მეცნიერების წინაშე დასახული მთავარი ამოცანები.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. ნ. თავხელიძემ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებათა მუშაობისა და სამეცნიერო გამოკვლევების პერსპექტივების შესახებ მოხსენებები გააკეთეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტებმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ს. ვ. დურმიშიძემ, ი. ვ. ფრანგიშვილმა, გ. ნ. ჯიბლაძემ.

გასული წლის მანძილზე აკადემიის სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის შესახებ ანგარიში გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ა. სეხნოაშვილმა.

კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე.

დაჩქარების პროგრამა, რომელიც ხორციელდება საზოგადოებაში, აღინიშნა კრებაზე, მოითხოვს მეცადინეობის კონცენტრაციას პრიორიტეტული მიმართულებებით. ქართველმა მეცნიერებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს თეორიული და გამოყენებითი ფიზიკის, მათემატიკის, ინფორმატიკის დარგში. სტაბილური ტემპით ვითარდება ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია. გეოფიზიკისა და სეისმომედეგობის დარგში ფუნდამენტური გამოკვლევების შედეგებმა განაპირობა რესპუბლიკაში იუნესკოს სეისმოლოგიისა და სეისმომედეგი მშენებლობის საერთაშორისო ცენტრის შექმნა. გენურ ინჟინერიაში, ელექტრონიკაში, კიბერნეტიკაში მიღწევები გამოყენებითი სამუშაოების ფართოდ გაშლის საიმედო ბაზა გახდა.

ამავე დროს, აღინიშნა კრებაზე, გარდაქმნის პროცესი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში საკმარისი დინამიკურობით არ მიმდინარეობს. კვლავინდებურად მწვავე, უმთავრესად გადაუჭრელია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის აკადემიის, უმაღლესი სასწავლებლისა და დარგობრივი მეცნიერების ზუსტი კოორდინაცია, საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეცადინეობის ინტეგრაცია, წარმოებული კვლევის კომპლექსურობა, ფუნდამენტური პრობლემების დაყენების სიღრმე და კონკრეტული ნაშუშევრების ეფექტიანობის გაზრდა. იმისათვის, რომ გარდაქმნის აქტიური მონაწილე გახდეს, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე, მეცნიერება ბევრ რამეში თავად უნდა გარდაიქმნას. ცხოვრება გვაჩქარებს, და ის, ვინც მეცნიერული იდეებით ვერ უსწრებს დროს, ყველაფერში ჩამორჩება. ასე აყენებს საკითხს ჩვენი დრო— მეცნიერებასა და ტექნიკაში ღრმა გარდაქმნების დრო.

მეცნიერული ნაშრომების ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება უნდა გახდეს კომპიუტერების მათემატიკური უზრუნველყოფა, მიკროელექტრონიკა, თხევადი კრისტალების მიღების ტექნოლოგია, უნარჩენო ტექნოლოგიები, ენერგიის არატრადიციული წყაროები, ფხვნილთა მეტალურგია და სხვ. უნდა მივაღწიოთ, რომ შემოქმედებითი ძიება პრაქტიკულად ხორციელდებოდეს, ემსახურებოდეს სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს. სწორედ ამით არის მნიშვნელოვანი პროგრამა „ბანგანუში“, რომელიც ითვალისწინებს ამ ნედლეულის მოპოვებისა და გადამუშავების თანამედროვე მეთოდების სრულ კომპლექსს.

სტიქიის მძლავრმა შემოტევამ, რომელიც თავს დაატყდა რესპუბლიკას ამ ზამთარს, დამაჯერებლად ცხადყო, რომ საჭიროა სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფრო მჭიდრო პარტნიორობა საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრაში. ერთი მათგანია კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის საამედო მეცნიერული უზრუნველყოფა, ამ პრობლემის არქეოლოგიურ-ეკოლოგიურ ასპექტზე მეცნიერთა ძალისხმევის კონცენტრაცია. სერიოზულ ყურადღებას [illegible] აგროსამრეწველო [illegible] მეცნიერებიან [illegible] მეცნიერებათა [illegible] ბის განმტკიცება. დიდი დახმარება სჭირდებათ საზოგადოებათმცოდნეობის პროფილის ინსტიტუტებს, რომლებიც მოწოდებული არიან მუშაობის მკვეთრი ინტენსიფიკაცია მოახდინონ ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის დარგში.

მეცნიერის, მკვლევრის ინტელექტი ეფექტიან პრაქტიკულ რეალიზაციას ვერ პოვებს, თუ განმტკიცებული არ იქნება კვლევითსაფუძვლიანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. მაგრამ ამ საქმეშიც, თქვეს ორატორებმა, მრავალი პრობლემაა. დღეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის თითოეული მუშაკის ფონდაღჭურვა 1,4-ჯერ ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებში და ორჯერ ნაკლები, ვიდრე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში. მაგრამ იმასაც საკმაოდ ვერ ვიყენებთ, რაც გვაქვს. ეფექტიანად ვერ ვიყენებთ არსებულ გამოთვლით სიმძლავრეებს.

არ გვჭირდება სათხოვნელად საზღვარგარეთ სიარული, საჭიროა გამოვიყენოთ ის უზარმაზარი სამეცნიერო პოტენციალი, რომელიც დაგროვდა საბჭოთა ხელისუფლების 70 წლის განმავლობაში. ქალაქ ლენინსკის მშრომელებთან შეხვედრაზე, მ. ს. გორბაჩოვის მიერ გამოთქმული ეს მოთხოვნა განმსაზღვრელი ორიენტირი უნდა გახდეს სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკაში, ხაზგასმით აღინიშნეს ორატორებმა.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ ხელი მოჰკიდა თაობათა ცვლის სერიოზულ პრობლემას. იგი უნდა გადაიჭრას პერსპექტიული ახალგაზრდობის, გაბედული დაწინაურების, უფროსების, გამოცდილი ამხანაგების მხრივ კონკრეტული, საქმიანი დახმარების გზით, — ითქვა კრებაზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წლიურმა საერთო კრებამ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის მეცნიერები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი იმას, რომ წარმატებით განხორციელდეს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრამების დაჩქარებისათვის გამიზნული კურსი.

(საქინფორმი).

ავტორინფორმი: **ავტომანქანები** გელა ქვარცხავა, შალვა ობგაიძე, ჯუმბერ მესხი, ჯემალ ჯავახიშვილი და ეკვთიმე გოლდინი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში მუშაობენ. ბორბალოს სამი უმცროსი მეცნიერი მუშაკია, ხოლო ორი — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი. როგორც ინსტიტუტში გვითხრეს, ისინი გამოირჩევიან კეთილსინდისიერებით, შრომისმოყვარეობით, ინიციატივიანობით, აქვთ ზრდისა და წინსვლის კარგი პერსპექტივები.

როცა ჩვენს ქვეყანაში დაიწყო კოოპერატივების შექმნა, მათ ერთ-ერთმა პირველებმა გადაწყვიტეს ჩამოეყალიბებინათ ამხანაგობა და ეყისრათ ეიგულის ყველა მარკის ავტომანქანის შეკეთება.

და აი, მალე თბილისის ორჯონიკიძის ქუჩის II ჩიხის მე-11 სახლის ეზოს კარებზე გაჩნდა აბრა წარწერით: „საინჟინრო კოოპერატივი — „ავტოსერვისი“, მუშაობს 17-30 საათიდან 22 საათამდე, შაბათ-კვირას — 11-დან 19 საათამდე“.

„ავტოსერვისის“ კოოპერატივმა, რომელიც რეგისტრაციაში გაატარა პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომმა, მიიღო ბეჭედი და შტამპი, გახსნა ბანკის ანგარიში და, როგორც იტყვიან, იგი გახდა სრული აღრიდიული პირი.

— რით დაიწყოთ? ამაზე კარგა ხნით ადრე იფიქრეს. შეფად საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს გაერთიანება „განთიადი“ აირჩიეს. ძირითადი საწარმოო საშუალებები — საშუალო სიხშირის გენერატორები, ტოქსიკების საზომი ხელსაწყოები, გაზანალიზატორები, ოსცილოგრაფები და სხვა მშობლიური ინსტიტუტიდან წამოიღეს, ცხადია, ინსტიტუტის ხელმძღვანელების ოფიციალური ნებართვით და სათანადო ანგარიშწორებით.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს ყველაფერს. ჯერ კიდევ ბევრი საქმე და საკითხია მოსაგვარებელი. კოოპერატივის წევრებს პირველ ხანებში თვით კლიენტების მიერ მოტანილი სათადარიგო ნაწილებით უხდებათ მუშაობა, შემდგომ კი, რაც შეიძლება მალე, ოპერატიულად უნდა გადაწყდეს მათი სათადარიგო ნაწილების რომელიმე ბაზისათვის მომაგრების საკითხი, რაზეც კოოპერატივის წევრებთან ერთად უნდა იზრუნონ როგორც პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომმა და გაერთიანება „განთიადმა“, ისე სახმომართველებმ.

რაკი კოოპერატივის პრობლემებზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, ბარემ აქვე ვთქვათ, რომ მას სპირდება სახელმწიფო ავტონსპექციის მუშაკთა ფართო მხარდაჭერა ანუ ნებართვა — მოსახლეობაში შეიძინოს ყიგულის მარკის მწყობრიდან გამოსული 10 ძრავა, რომლებსაც თვითონვე აღადგენს და გამოიყენებს როგორც რეზერვს. ასეთი რამ ავტომანქანების მფლობელებს საშუალებას მისცემს იმავე დღეს ჩაიდგან მანქანებში ახლად აღდგენილი ძრავები, რა დღესაც შესარემონტებლად ჩაბარებენ საკუთარს. საგულისხმოა, რომ კოოპერატივი გარანტიას იძლევა ამ ძრავებმა ხელუხლებლად განვლონ 80-90 ათასი კილომეტრი.

და კიდევ — ერთი საყურადღებო მომსახურების შესახებ ამ კოოპერატივში. ხომ ცნობილია, რომ ქალაქი ჰუჰეყიანდება ავტომანქანებიდან გამონაბოლქვი ტოქსიკური აირებით. „ავტოსერვისის“ კოოპერატივის წევრები მათთან ნებისმიერი რემონტისათვის მიყვანილ არც ერთ მანქანას არ უშვებენ ისე, სანამ არ დაურეგულირებენ გამონაბოლქვის ტოქსიკურობას. მაღალი კვალიფიკაციის ავტოინჟინრებს ხელეწიფებათ ასეთი რამის გაკეთება, მით უმეტეს, რომ უკვე შექმნეს კიდეც ყველა საჭირო ტექნიკური პირობა. და განა მარტო გასარემონტებლად მიყვანილ ავტომანქანებს გაუწევენ ასეთ მომსახურებას? როცა უფრო მოღონიერდებიან და კოოპერატივს 20-25 კაცით მაინც გაზრდიან, ისინი დადებენ ხელშეკრულებებს მსხვილ სამრეწველო საწარმოებთან, რათა ადგილებზე მოემსახურონ მათს მუშა-მოსამსახურეთა კერძო ავტომანქანებს როგორც წვრილმანი რემონტით, ისე გამონაბოლქვების სარეგულირებლად.

...„ავტოსერვისის“ კოოპერატივში მაშინ მივედით, როცა ვაზ—07-ის მარკის ყიგულს არემონტებდნენ. მისი მფლობელი აღმოჩნდა სატყეო მეურნეობის სამინისტროს ინჟინერი ნ. იმედაძე.

— რატომ მაინცდამაინც აქ მოიყვანეთ თქვენი მანქანა?

— მე ყველანაირად მაძლევს ხელს აქ მოსვლა. ჯერ ერთი, როცა დღისით პროფილაქტორიუმები მუშაობენ, ამ დროს მეც სამსახურში ვარ. მხოლოდ საღამოობით შემიძლია მივხედო მანქანას. თანაც ვიცი, რომ აქ მანქანას უფრო კარგად და უფრო იაფად შემიკეთებენ.

ჩვენს საუბარში ერევა კოოპერატივის წევრი გელა ქვარცხავა:

— კლიენტი თავისი თვალით ხედავს, როგორ ვახდენთ ავტომანქანის ეგრეთ წოდებულ კომპლექსურ გასინჯვასა და რემონტს. მაგალითად, როცა ძრავას შეეფერემონტებთ დაზიანებულ დეტალს, აუცილებლად შეგამოწმებთ მის მეზობლად მდებარე თუ მასთან დაკავშირებულ სხვა ნაწილებსაც. გასამრჯელოს კი კლიენტს მხოლოდ დაზიანებული დეტალის შეცვლისათვის ვახდენინებთ.

— დავნერგავთ გამოძახებით მომსახურებასაც, — ამბობს კოოპერატივის თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ექვთიმე გოლდინი. — აი, ეთქვათ, გზაში გაფუჭდა მანქანა. თუ მისი მფლობელი მოახერხებს დაბელეფონით დაგვიკავშირდება, სწრაფად გავუგზავნით სპეციალისტს. ამისათვის ჩვენ გაერთიანება „განთიადმა“ უკვე გამოგვიყო სპეციავტომანქანა. თუმცა თითოეულ ჩვენგანს გეყოს საკუთარი მანქანა, რომელიც ამავე დროს ჩართულია საერთო მომსახურებაში. შეიძლება ასეც მოხდეს: იგივე „განთიადის“ სადისპეტჩეროში ავტომფლობელებს შეუძლიათ მისცენ დაკვეთა. ჩვენ ოპერატიულად შევასრულებთ მას. ყველაფერს ვიღონებთ, რათა „ავტოსერვისში“ არ დავაყენოთ რიგები, მაგრამ თუ ეს მაინც მოხდება, ისე შევადგენთ სამუშაო გრაფიკს, რომ კლიენტს დიდი დრო არ დავაკარგვინოთ.

კოოპერატივის წევრები კიდევ ერთ სიახლეს ჰპირდებიან მოსახლეობას. რაკი აქ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები მუშაობენ, ავტომფლობელებს საშუალება ექნებათ მიიღონ მათგან ფართო კონსულტაცია „ვაზ“-ის მარკის ნებისმიერ მანქანაზე. და ეს არავის არ უნდა გაუკვირდეს. ყველა ისინი ხომ ინსტიტუტში ტოლიატის ავტოქარხნის მიერ გამოშვებული მანქანების შემდგომი სრულყოფის პრობლემებზე მუშაობენ.

— როგორია კოოპერატივის ფინანსურ-ეკონომიკური მხარე?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევიან ჯემბერ მესხი და შალვა ობგაიძე:

— საერთოდ, დებულების თანახმად, კოოპერატივის წმინდა მოგების 2 პროცენტი შედის სახელმწიფო საღარაში, 40 პროცენტი-ხმარდება საბრუნავ საშუალებებს ანუ წარმოების განვითარებას, 58 პროცენტს კი ჩვენ ვიღებთ ხელფასის სახით. მუშაობის პირველი თვე — მაისი საექსპერიმენტო იქნება. იგი მოგვცემს ორიენტირს, როგორ წარვმართოთ ჩვენი შემდგომი საქმიანობა ისე, რომ მხოლოდ სარგებელი მივიღოთ ჩვენც, მოსახლეობამაც და სახელმწიფომაც.

კოოპერატივი „ავტოსერვისი“, როგორც უკვე ვთქვით, მუშაობს მაისის დამდეგიდან. 10 რიცხვისათვის აქ საშუალოდ დღეში ერთ-ნახევარი მანქანის მომსახურება გამოუდიოდა.

— ეს ხომ ოდნავაც ვერ დაკმაყოფილებს კოოპერატივის საერთო მოთხოვნილებას?

— რა თქმა უნდა, ვერა, მაგრამ პირველ დღეებში ასეთი რამ დასაშვებია. მალე საქმე ისე აეწყობა, ყოველდღიურად 3-4 მანქანას მაინც მივიმსახურებით, რაც სრულიად საკმარისი იქნება ჩვენი პირობებისათვის.

ბოლოს კიდევ ერთი კითხვით მივმართეთ „ავტოსერვისის“ კოოპერატივის წევრებს.

— თქვენ ყველანი ახალგაზრდები ხართ. თუ დღისით ჩვეულებრივ ინსტიტუტში დაპყოფთ, ხოლო საღამოობით და ყოველ შაბათ-კვირას კოოპერატივის საქმეებს მიხედავთ, გამოდის, რომ უარი უნდა თქვათ თეატრზე, კინოსურათების ნახვაზე, ქორწილზე, დღეობებზე, ფეხბურთზე...

— ჩვენ ამაზეც თავდადნვე ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ ისე შევადგინოთ მცოცავი გრაფიკი, ხუთი კაციდან ყოველ საღამოს თავისუფალი იყოს ორი ან სამი კაცი. ასე რომ, არავითარი „საშიშროება“ არ გვემუქრება. კულტურულ ცხოვრებას ჩვეულებრივი ტემპით მივყვებით.

...დამშვიდობებისას კოოპერატივის წევრებმა საგანგებოდ გვთხოვეს საგაზეთო სტატიაში მოგვეხსენებინა ის ხელმძღვანელები, რომლებმაც გულთან ახლოს მიიტანეს მათ მიერ დაწყებული ეს ახალი საქმე, და ყველაფერი იღონეს ახალბედა კოოპერატივის ხელშეწყობისათვის. ეს ისინია: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი ი. ჯგაბაშვილი, პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე თ. გოგლიძე და გაერთიანება „განთიადის“ დირექტორი ნ. ბიბილეიშვილი.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში, სადაც რეკომენდაცია მისცეს ზემოთ მოყვანილ კოოპერატივს, გვითხრეს აგრეთვე, რომ რაისაბჭოს აღმასკომებმა რეგისტრაციაში გაატარეს კიდევ ათი კოოპერატივი, მაგრამ ბევრი მათგანი არ შესდგომია პრაქტიკულ საქმიანობას სხვადასხვა მიზეზის გამო. ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ სახბანკის ადგილობრივი კანტორები აჭიანურებენ კოოპერატივების შენობების აგებისა და რემონტისათვის, აგრეთვე დანადგარ-მოწყობილობის შესაძენად საჭირო გრძელვადიანი სესხების გაცემას. ბევრი ორგანიზაციაც ნაკლებად ზრუნავს კოოპერატივებისათვის ნაგებობებისა და ტერიტორიების გამოყოფაზე.

კოოპერატივი, პრობლემები

ავუშვათ ფეხი მუხრუჭებს...

ავტომანქანებზე ზრდადი მოთხოვნილებაა. ეს ფაქტი ეჭვს არ იწვევს. ოღონდ ეს ზრდადი მოთხოვნილება ერთ-ერთ ადგილას ერევა ერთმანეთში, ერევა ისეთ ადგილას, სადაც ეს ერევა, ეს ერევა, ეს ერევა,

ოცნებით ვკითხოთ შექსპირის აჩრდილს...

ფიქრი-მონოლოგი ორიოდე რეპლიკით

...**როგორ** სტურუას სპექტაკლებში ყველანაირ სასწაულს უნდა ელოდეთ!

— მაგალითად?

— მაგალითად, ლირი არ კვდება!

იქნებ უფრო დიდი ტრაგედიაა, მართლაც დარჩე მარტოდმარტო უნდობლობით და შეღლილი დანგრეულ სამყაროში უსაყვარლესი მკვდარი ასულითურთ..

...„ლირი, ყველასგან მიტოვებული“... გალაკტიონის პოეტური განჭვრეტაც იგრძნობა აქ — ანდა როგორ ასცდებოდა შემოქმედი გალაკტიონისეულ განცდას ლირისას! თუმცა რობერტ სტურუა ლირიკოსი არ არის...

რეჟისორი და მსახიობი ფსიქოანალიზის ხერხით მიიკვლევენ გზას ლირის ხასიათისაკენ.

მოხუცი მეფე დროდადრო, მართლაც. თითქოსდა ბავშვობას „უბრუნდება“ — რამაზ ჩხიკვაძე ჩინებულად ახერხებს ამ ფსიქოლოგიური გარდაქმნის გამოვლენას, მაგრამ „ბავშვობაში დაბრუნებამდე“ მას ჯერ ფრიად რთული, ეკლიანი გზის გავლა მოუწევს... ორი გრძელი მოქმედების მანძილზე.

მოგიწონათ სპექტაკლი? — ეს ნაცნობი სიტყვებია, ოღონდ ზოგჯერ ისეთივე უსიამოვნო, როგორც გამოცდაზე უცაბედი დამატებითი შეკითხვა.

...ჯერ უნდა ვილოცო, — ასეთი რეპლიკა აქვს ერთგან რამაზ ჩხიკვაძის ლირს.

...ჯერ უნდა ვიფიქრო, ეს ფიქრი კი იმ ლოცვის ტოლფასია!..

* * *

ჯერ კიდევ შექსპირის სიცოცხლეშივე გამზდარა თეატრის საზრუნავი ავთენტიკური ტექსტების გამოცემა, რადგან ბეჭდურად პიესა სცენიდან ჩამოსვლის შემდეგ თუ გავრცელდებოდა ხოლმე და ისიც ეგრეთ წოდებული „პირატულ“, საეჭვო გამოცემებში — ანუ უმეტესად შემოკლებული და არაზუსტი სახით, რადგანაც სპექტაკლის მსვლელობისას იყო ჩაწერილი (რასაკვირველია, არა თანამედროვე გაგებით) და თეატრი იძულებული იყო შექსპირის ასეთი „ცუდი“ პიესებისთვის „კარგები“ ანუ სრულყოფილი ვარიანტები დაეპირისპირებინა. ამიტომ შექსპირის ადრეული გამოცემები თურმე „კარგ“ და „ცუდ“ პიესებად იყოფოდა. სიცოცხლეში მისი პიესებიდან მხოლოდ ნახევარი დაბეჭდილა, მათ შორის „მეფე ლირიც“, რომელიც „კარგების“ სათვალავშია.

„მეფე ლირი“ თავისი სიმწიფის ასაკში შექმნა დრამატურგმა. როგორც ცნობილია, შექსპირი სესხულობდა ხოლმე სხვადასხვა სიუჟეტებს. ასე მოხდა „მეფე ლირის“ შემთხვევაშიც, მაგრამ უფნდელი პიესის ავტორი და ტექსტი უცნობად დარჩა — ეს თქმულება თურმე შექსპირის კალამს უნდა გადაეწერა, რათა დღეგრძელი ყოფილიყო!

* * *

საუკუნე-ნახევარია, რაც ქართველის ცნობიერების არეში გამოჩნდა შექსპირის ჯერ დ. ყიფიანის, ლ. არდაზნიანის, ა. ფურცელაძის, მ. ყიფიანის თარგმანები, ხოლო პირველი პოეტური დედნის ბადალი თარგმანი, რომლითაც ფართო ასპარეზი მიეცემა და საბოლოოდ დამკვიდრდება ქართულ პროფესიულ სცენაზე შექსპირიანა, სწორედ „მეფე ლირია“, 1873 წელს პეტერბურგში ყოფნისას ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის ერთობლივი ღვაწლის ნაყოფი, რომელიც დაბეჭდილა იმავე წლის ჟურნალ „კრებულში“ (№ 10), 1874 წელს კი ილია თბილისისა და ქუთაისის საზოგადოებრობასაც გააცნობს „ლირს“. თარგმანს დიდი მოწონებით ხვდებიან. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ამ თარგმანზე უადრეს ილიამდე წარმოადგინა სიჭაბუკეში ცოცხალი სურათები „მეფე ლირიდან“ (1859 წელს ქართული გიმნაზიის იმ დარბაზში, სადაც გიორგი ერისთავის წყალობით 1850 წელს ხელახლა აღორძინდა ქართული თეატრი), რასაც თბილისელები ძალზე მოუხიბლავს, ადვილი მისახვედრია, რატომ გითა-ვისა ესოდენ ბედკეკლი მეფის ტრაგედია, რატომ აღიძრა ქართველი კაცის სულშიც ლირის სულიერი ჭარტეხილი...

დიახ, დროს ვერ გაუნელებია შექსპირის ამ ტრაგედიისადმი ილიას ინტერესი.

და მაინც მთავარი მიზეზი? — მსახიობი!

...სახელოვანი ირა ოლდრიჯი, წარმოშობით ამერიკელი ზანგი, რომლის გასტროლებმაც ილიას სტუდენტობის ხანაში მთელი პეტერბურგი შეძრა.

გავა ხანი და ასეთივე სულისშემძვრელი შთაბეჭდილებას მოახდენს თბილისში თავის დასთან ერთად საგასტროლოდ ჩამოსული იტალიელი ტრაგიკოსი ერნესტო როსი, რომლის სასცენო ხელოვნებით, განსაკუთრებით კი შექსპირული სახეებით, მათ შორის ლირით, ფრიად მოხიბლულან ილია და აკაკი, მთელი ქართველი საზოგადოებრობა, რომელიც იმ დროისათვის (1890 წ.) უკვე კარგად იცნობდა შექსპირის ტრაგედიებს ივანე მაჩაბლის წინამორბედებისა და თვით მაჩაბლის წყალობით. ზუსტად 100 წლის წინათ, ლადო მესხიშვილის საბენეფისოდ დაიდგა ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი „ჰამლეტი“, თავდაპირველად კი ლადო (1883 წ.) ანტონ ფურცელაძის პროზაულ თარგმანში თამაშობდა.

„ჰამლეტით“ გამოეთხოვა თბილისს ერნესტო როსი. მის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე ბევრი ქება თქმულა. მაშინ დაამშვენა ეკსპრომტით თავისი სიტყვა აკაკიმ:

„ოცნებით ვკითხე შექსპირის აჩრდილს:
შენ ხარ მთავარი, მგოსანთ უფროსი,
მაგრამ ვერ მივწვდით შენს მაღალ აზრებს
და ვინ აგვიხსნის?.. ერნესტო როსი!

აქ და მომდევნო სტროფებშიც ბეჭდის თვალითა ჩასვა მგოსანმა ამ გამოჩენილი ხელოვნის სახელი!

ეს იყო მსახიობის ხელოვნების უზენაესი შეფასება, წარსულისა და თანამედროვეობის უკეთეს მოძღვრად, ავტორსა და ხალხს შორის უტყუარ მოკიქულად აღიარება!

ასეთივე მისია დაეკისრა ლირის როლში რამაზ ჩხიკვაძეს!

* * *

...როცა ილიამ მოიწადინა „მეფე ლირის“ სცენური ხორცშესხმა, გამოცხადდა კონკურსი ლირმამის სულისა და გულის მოძრაობა-კვეთებას, ნურფერს წაიკითხავს...

* * *

კარგა ხანია ვეღოდით რუსთაველელთა „მეფე ლირს“, მაგრამ თეატრი მარტოოდენ ერთი სპექტაკლით და ერთი ოცნებით როდი ცოცხლობს!

საჭირო იყო მართლაც ხანგრძლივი ჩაკვირვება, შეგნება ლირის ხასიათისა, მისი სულისკვეთების ამოცნობა, მისებრ მოხუცება და ამ სულიერი წიაღსვლების შედეგად იმ ზნეობრივი კათარზისის მიღწევა, რასაც ბლოკი ადამიანის გაადამიანურებას უწოდებდა და შექსპირის შემოქმედების უმთავრეს ხასიათად მიიჩნევდა.

შემოქმედი დამოუკიდებლობით ამაყობს, მაგრამ არის თუ არა მისთვის საყრდენი ტრადიცია? შეიძლება იგი გუმანითაც მიუახლოვდეს მას, სამაგიეროდ ახლებური ძალა და სული შთაბეროს.

როგორც ვნახეთ, ქართულ თეატრში „ლირს“ საკმაოდ სოლიდური ტრადიცია აქვს. აი, რას გვიამბობს ალექსანდრე იმედაშვილი:

„დიდ ხანს ვფიქრობდი „მეფე ლირის“ მომზადებაზე, მაგრამ ვერა ვბედავდი, რადგანაც ლირისათვის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი, ბოლოს, როგორც იქნა გადავწყვიტე და 1926 წლიდან შეუდექი მის შესწავლას.... რამდენადაც მეტს ვუკვირდებოდი და ვცდილობდი მისი გრძნობების და ხასიათის გახსნას, მით უფრო და უფრო შიში მიპყრობდა და ერთ-ხანად მინდოდა კიდეც თავი მიმენებებინა, მაგრამ ჯიუტობამ მძლია და დიდი ხნის მუშაობის და დაკვირვების შემდეგ მისი ხასიათის და გრძნობების სამ მთავარ (ირონიულ) ბაზეზე შევჩერდი და გადავწყვიტე უმთავრესად ამით მეხელმძღვანელა და ლირის პიროვნება ამ სამი ცვლილების მიხედვით განმეხორციელებინა“.

...და ასე, ვით ლირმა თავის სამეფო, იმედაშვილმაც სამად გაყო ლირის ხასიათი: მეფე — ადამიანი — მამა...

როგორც ჩანს, ამ ფორმულას დღესაც არ დაუკარგავს ძალა. თავისი ჩანაფიქრი იმედაშვილს 1929-30 წლების სეზონში რუსთაველის თეატრში მიზეზისას ალ. ახმეტელისათვის გაუცნია, რაკი ის დაპირებია, რომ 30 წლის იუბილესაც გადაუხდიდა და „მეფე ლირსაც“ დადგამდა მისთვის, მაგრამ სიხანულით აღნიშნავს — „მეფე ლირმა“ ჩაილურის წყალი დალიაო... მსახიობის ეს ჩანაფიქრი 40-იანი წლების დასაწყისში ქუთაისის სცენაზე განხორციელდა.

* * *

თავიდანვე, როგორც კი გამოჩნდება სცენაზე „მკვდრის მზით“ განათებული სასახლე და მისი არემარე, აშკარაა, რომ ეს სამეფო (სამეფოს, იგივე სამყაროს მოდელია აქ თეატრი, სადაც ხუთმოქმედებიანი ტრაგედია ორ ნაწილად გათამაშდება) განწირულია...

რეჟისორი რ. ჩხაიძე, მხატვარი მ. შველიძე, კომპოზიტორი გ. ყანჩელი, ქორეოგრაფი გ. ალექსიძე (რეჟისორის ასისტენტია ლ. ბურბუთაშვილი, თანაშემწე — ლ. თოხაძე) დამდგმელი რეჟისორის რ. სტურუას ღირსეული თანამოაზრენი არიან. რეჟისორული მიდგომით, მხატვრისმიერი შტრიხებით, მუსიკალური ფრაზებით, პლასტიკური მოხახაზით ყოველი მათგანი სრულყოფს იმ მოქმედ პირთა პორტრეტებს, რომლებიც გამოუძერწავთ მსახიობებს რობერტ სტურუასთან ერთად.

ერთი შეხედვით, უცხო დეტალები (შუა საუკუნეთა ბრიტანეთისათვის) თანდათან ორაზროვან, სიმბოლურ შინაარსს იძენს: თუნდაც ლიანდაგი (ჩიხი ვაგონებით, იგივე ქოხით, „ლირის“ საბოლოო სადგურად რომ იქცევა და მის გამოუვალ მდგომარეობას გამოხატავს), ტახტი-სახრჩობელა, რომელზეც კიდია ყოველი მათგანის ბედი (ცხადია, წარმოსახვით), სინამდვილეში კი ქვაბი, რომელშიც ცოდვა დუღს და გადმოდუღს.

თითქოსდა, ახირებაა მეფის ხელში კვერთხის ნაცვლად გალია ჩიტით, მაგრამ აკი არის კიდევ ახირებული ეს მოხუცი მბრძანებელი, გრძელი, გრძნეული პაუზის შემდეგ რომ გამოდის ასპარეზზე და რომლის ატრიბუტად გალია ქცეულა, ოღონდ შემთხვევითი კი არა, მისიერ რეპლიკებიდან „გამოჭედილი“ (გალია-საპყრობილე).

„დაუსრულებელ მრავალფეროვნებას“ უწოდებენ შექსპირის შემოქმედებას ლიტერატურათმცოდნეობაში. ასევე დაუსრულებელ მრავალფეროვნებად აღიქმება რობერტ სტურუას რეჟისორული სტილი, ხელწერა, მსოფლმხედველობა, რომლის ლოგიკური შედეგიც არის ფინალში მთელი სამყაროს (თეატრის მოდელის) ნგრევა.

დიახ, „დაუსრულებელი მრავალფეროვნება“ ითქმის რუსთაველელთა ახალ დადგმაზე, რომელზეც ასე დიდხანს, ასე დაკვირვებითა და სიყვარულით მუშაობდა დასი და რომელიც წინამორბედი, ჩვენში და უცხოეთში გახმაურებული დადგმების „კავკასიური ცარცის წრისა“ და „რიჩარდ მესამის“ დარად გასცილდა ეროვნულ ფარგლებს (ამის თქმა ახლავე თამამად შეიძლება!).

ყოველი მოქმედი პირი — თ. დოლიძის, დ. ხარშილაძის, მ. კახნიანის გონერილი (იგივე გონერილა), რეგანი (რეგანა), კორდელია (კორდელია) იქნება ის თუ ა. მახარაძის გრაფი გლოსტერი, ა. ხიდაშელის ედმუნდი, გ. ძნელაძის წმინდა ჭაბური ედგარი (ეს მისი ჩაცმულობითაც ხაზგასმულია თავიდან), ჯ. ღარანიძის ოლბანი (ალბანი), ვ. გოგიტიძის კორნუოლი (კორნწვალი), მ. ჯიხორიას „კარგი ყმა“ კენტი (იგი აქაც კენტად დარჩენილა), ე. ლოლაშვილის ხუმარა, ოთხზე სიარულითაც რომ ამართლებს ხოლმე მეფისადმი ძაღლურ ერთგულებას, გ. საღარაძის ბურგუნდიის მთავარი, ს. ლაღიძის საფრანგეთის მეფე თუ დ. პაპუაშვილის მსახური ოსვალდი — დიდი პროფესიული პასუხისმგებლობით და შინაგანი სამკაცრით ასრულებს თავის როლს, ეპიზოდს, ქმნის მეფის გარშემო ფარისევლურ ატმოსფეროს, რის გამოც უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდება მბრძანებელი იმ ქვეყნისა, თანაბრად რომ გაყო და გასაჩუქრა სამეფო ასულთა შორის და საოთვისოდ მცირე ამალაღა დაიტოვა.

არც ერთ ქალიშვილს აღარ სურს მოხუცი მამის შეკედლება, მესამე ხომ სიფიცხის გამო უწილოდ მოიკვეთა მეფემ — გაავებულმა გალიაღა მიაჩეჩა მზითვად საფრანგეთის დედოფლად გამზადებულს. ისევ ის, ნაბოლარა და უსაყვარესი ქალი აღმოჩნდება ბოლოს მიუსაფარი მოხუცის გვერდით, რომლის დროდადრო დაბნელებული და არეული გონება ვეღარ შეიცნობს მხედრულად მოსულ ქალში თავის ასულს და მხოლოდ გალია, რომელსაც თვალს მოჰკრავს რამაზ ჩხიკვაძე-ლირი, აუხელს თვალს და გაუღვიძებს მამა-შვილურ გრძნობას, მის მოჩვენებითს სიგიჟეში სიბრძნე ჭარბობს... ხანაც ბავშვური ცნობისმოყვარეობა გამოკრთის — შეკითხვაში — რა იწვევს ჭეშ-ქუხილს? — როდესაც მისებრ მწირს დიოგენად წარმოიდგენს. რ. სტურუასთვის ჩვეულ ამგვარ ვარიაციებში და აფექტურ მოქმედებაში (ხუმარას რამდენჯერმე განგმირვა) უფრო მეტად მეფდავნდება გმირის ნირი და ხასიათი — რამაზ ჩხიკვაძეც ამ ზეამოცანას ისახავს მიზნად: ყველგან და ყველაფერში ლირი იყოს თხემით ტერფამდე.

და ბრწყინვალედ აღწევს კიდეც მიზანს.

...ინგრევა ლირის წყევლა-კრულვით შეზანზარებული ცოდვილი სამყარო... სასწაულით გადარჩენილი ლირი თოკით მოათრევს ბედკრულ ასულს („მოახრჩვეს ჩემი სულელი გოგო...“) ჩვილივით კალთაში ჩაიწყვეს უსულო ქალს და დარდისაგან გაოგნებული ძლივსღა ამოთქვამს: რა სიბნელეა კორდელია, ერთი ეს ილი შემიხსენიო... (მაგედრებელი კილო) საყელოსთან მიიტანს თრთოლებენელ თითებს — ხომ უნდა განთავისუფლდეს ტანჯული სული!

ასე გაჩნდა ფინალში წერტილის ნაცვლად მრავალწერტილი... თითქოს ჭანდაკად გადაიქცა ორივე ერთად!

* * *

რობერტ სტურუას სპექტაკლებში ყველანაირ სასწაულს უნდა ელოდოთ!

— მაგალითად?

— თუნდაც განკითხვის დღის მოტივი... დროთა კავშირის სახილური რეკვეა...

* * *

— მოგეწონათ სპექტაკლი?

ჯერ უნდა ვილოცო... ასე ამბობს ერთგან ლირი.

მეც ჩემი ლოცვა აღვავლინე.

ნანა ღვინეფაძე.

სურათებზე: „მეფე ლირის“ ფინალური სცენა; ლირი — რ. ჩხიკვაძე, კორდელია — მ. კახიანი; ლირი — რ. ჩხიკვაძე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲫᲛᲝ ᲞᲔᲠᲐᲜᲒᲘ

ᲘᲡᲠᲘᲡ დგუშიდან წყვილად გამოარიალებულმა ფოლადის კრიალა ეშვმა ციცხვი წამით ცას მიაჯინა და მოწყვეტით ძირს დაუშვა. გაყინულ მიწაზედ მძიმედ დაბეყლეულმა ციცხვმა ღონიერი კბილებით მოციცქნილი რამდენიმე ბელტიც ყბაში მოიქცია და მთელ სიგრძეზე ისე გადაიბრეხილა, თითქოს ჩაბეტონებულ სახურავს წაეწყდაო.

ტრაქტორისტმა ისარი კვლავ ასწია და გაზის მისაცემად ხელი ისევ ბერკეტისაკენ წაიღო, რომ შემოესმა:

— მიხო, დააყენე!

მოიხედა. ზურგსუკან მხარზე ბარგადებული რამდენიმე კაცი მოსდგომოდა. პალტოებსა, ტყაპუჭებსა და ხელოვნური ტყავის ქურთუკებში გახვეულთ, საყელოები წამოეწიათ, რათა მსუსხავი ქარაშოტისათვის სახე აერიდებინათ. შუბლზე ჩამოფხატული თბილი ქუდების ქვემოდან რაღაცნაირი გაბრაზებით იმზვირებოდნენ.

მიხომ „ბელორუსი“ დაბალ გაზზე გადაიყანა და კაბინიდან ჩახტა.

— რას მოაკუნტრუშე ეგ ტრაქტორი აქა? — ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა ერთმა მოსულთაგანმა, ყველაზე უფროსი რომ ჩანდა.

— რაც თიკომ მითხრა, იმას ვაკეთებ, სანდრო.

— მერე ე ამოტელა მუტრუკი, მტკაველა გოგოს ჭკუაზე დადიხარ?.. მის ძმებს არაფერი გვეკითხება?!

— ერთი იმის ბრიგადაში მომცა თქვენი თავი, — გულკეთილი ჩაღიმებით მიუგო მიხომ. — ვნახავდი რა ბიჭებიც იქნებოდით.

— ნახეთ ჩვენი დის ამბავსაც რომ გვასწავლის! — ჩაერია ლაპარაკში სანდროს ზურგს უკან მდგომი მოხეთქილი ვაჟკაცი.

ტრაქტორისტმა ცხრავეს დამცინავი მზერა შეავლო:

— თქვენ რო თიკოზე ჭკვიანები იყოთ, ე მაგ ბარებს მხრებზე არ გაიდებდით.

— რათა კაცო?! — გაიკვირვა სანდრომ.

— იმათა, რო ყინვით ჩაბეტონებულ მიწას ბელტსაც ვერ აუფრენთ... ტრაქტორმა ვერაფერი დააკლო, თქვენ რას გახდებით მაგ ქესტის ბარებითა.

— შენ არხეინად იყავი.

— ვიქნები.. მე რა! მხრები გატოკა მიხომ.

სიჩუმე ჩამოწვა, მარტო სოსხიანი, ძვალ-რბილში გამტანი ქარაშოტი წიოდა სასაფლაოს ძეგლებსა და დაშიშვლებულ ხეებს შორის.

ძმები, ძმებიო და არც ერთი კი ერთმანეთს არ ჰგავდა... ვერ დაეძგვანებოდნენ, რადგან სხვადასხვა დედ-მამის გაჩენილები იყვნენ, სხვადასხვა გვარ-ჯილაგისა. საერთო ის ჰქონდათ, რომ, ყველანი საგარეჯოს ქალაქა მიწაზე იყვნენ დაბადებულნი, თან უმამოდ დაზრდილ-დავაჟკაცებულნი და სიპარმაგეში შესულნი. ომმა ბავშვობაში მოუსწროთ და დღეს თუ კაცებში იხსენიებენ, სულ იმ გულმადლიანი, მეორე მამად მიჩნეული გლეხკაცის წყალობით, ხვალ ამ მიწისათვის რომ უნდა მიებარებინათ. უკვე ორი მამის დამკარგავებმა, თითქოს პირველად ახლა იგრძნეს ნამდვილი უმამობა. გაბოს სიკვდილით ზურგსუკან ერთბაშად მოერღვთ იმედისა და. გულმაგრობის უხილავი კედელი.. იდგნენ ახლა აქ, გათოშილ სასფლაოზე და გულები ვაჟკაცურად შეფარული ტკივილით ეკუმშებოდათ...

— კაცო, ეგ როგორ იფიქრეთ! — ისევ სანდრომ დაარღვია, ბოლოს, ჩამოწოლილი სიჩუმე. — კარგი, ის ქალია, ქალური ჭკუით სჯის, მაგრამ შენ?! როგორ, გაბო-მამა ტრაქტორის გაჭრილ სამარეში ჩაიწვინება?.. ხო სულ წყალმა და ქარმა წაიღო იმის ამაგი, ჩვენი კაცობა... ტრაქტორიო!. ტრაქტორი და ესკავატორი მოვა ჩვენს ხელებთან კაცო?! ბარი თუ არ გაგვიჭრის, ხელები ხომ გვასხია... ამ თითებით ამოვფხეკნით მაგ გაქვავებულ მიწას... ჩვენს გამზრდელს ხელის გულებით უნდა გავუთბოთ შავი საკვნე..

— მე რაა! — კვლავ გაარხია განიერი მხრები ჯიბეში ხელებჩაწყობილმა მიხომ. — კაცები ხართ და კაცურადაც გეფიქრეთ.

ესა თქვა და კაბინაში შეავარდა, ტრაქტორს სიჩქარე მისცა და უკანა სვლით გასასვლელისაკენ დაძრა.

გაბოს ხსოვნის მოსაგონებლად დათქმული დღეს თიკო თავისი ქმარ-შვილით ახმეტიდან დილითვე ჩამოგრიალდება საგარეჯოში.. რატომ ახმეტიდანო, იქნებ იკითხოთ. იმიტომ, რომ გონებაცინცხალი, გამოჯე ტრაქტორისტი გოგო კომკავშირმა თავის დროზე იქ გაამწესა რაიკომის მდივნად. ახმეტელებმა კიდევ კარგად შეხედ-შემოხედეს, ნიჭი, უნარი და კარგი ქალობა შეატყვეს და უკვე სახელიანი, რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელის სავარძელში გადასვეს... ამასობაში ალვანელ ვაჟკაცს მოუვიდა თვალში და თუშებმა საამაყო რძლად დაირჩინეს...

ქალაქივით გაზრდილ-გამშვენიერებულ საგარეჯოში რომ შევა, ჯერ შეძენილ ძმებს ჩამოუვლის კარიკარ, შინშეუსვლელად მათ ჯალაბებს მოიკითხავს, მიესიყვარულება.. მანქანაში რომ ჩაჯდება, ვითომ ახლა გაახსენდაო, ჩანთიდან ცელოფანში შეფუთულ პურანგს ამოაძვრენს და იქვე მდგომ, სიყვარულით თვალებგაბტერებულ ძმას გადაუფრიალებს: არც ისე ძვირსა და არც ეგრე ადვილად საშოვნელს, რადგან საფიქმოა, მოდურად და ლაზათიანად შეკერილი; თანაც ძმის კისრისა და მკერდის ზომისა, მისი საყვარელი ფერისა...

ასე ჩაუქროლებს ცხრა შეძენილ ძმას და ბოლოს მამისეულ სახლს მიაშურებს, რათა ახლა მომლოდინე დედა და ღვიძლი ძმებიც ჩაიკრას მკერდში... მიჰქრის თეთრი „ვოლგა“ საგარეჯოს ქუჩაში და სავარძლის საზურგეს მისვენებულ კაფანდარა ქალლამაზ სახეზე გადაჭფენია ღიმილით გაპობილი ბაგეებიდან გამომკრთალი შუქი ქათქათა ნაფოტა კბილებისა. მისი ფიქრი ჯერაც ღვიძლ თუ შეძენილ ძმებს უტრიალებს და გულიც თავისით ჩურჩულებს:

„ღმერთმა თქვენი თავი ნუ მომიშალოს, ძმებო!“.

ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲜᲔᲒᲘᲔᲠᲐ „ᲚᲘᲠᲘᲐ“

ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ მოსანახულებლად ერთი დღით თბილისში წასული პარმენი ადრე დილით უკვე შინ იყო. თვე ისე არ გაივლიდა, თავისი ნაშიერებისათვის არ ჩაეკითხა. ჩუტანდა წყლის წისქვილზე დაფქვილ სიმინდს, ყვითლად დასისინებულ დაკლულ ქათმებს, კამჩის ყველსა და ნადღეს, მოვარდისფრო ნაჭუჭიან კვერცხებს და სულმოუბრუნებლად, ქალაქში ღამესაც რომ არ გაათევდა ისე, სოფელში მობრუნდებოდა. თანაც არ დაგავიწყდეთ, ოთხმოცს გადაცილებული კაცი გახლავთ.

მისებრ დროული ცოლი, ქმარზე ოთხი თუ ხუთი წლით უმცროსი, საწოლში დახვდა. წნევა დატაკებია ისევ და ბალიშიდან თავი ვეღარ აუღია. ეჰ, დაგვიბერდა ჩვენი კარგი, ღუღუნა მაისაია ქალი, ჩვენი გვარის სანაქებო რძალი, რომლის ერთი ხმამაღალი სიტყვა სოფელში არავის გაუგონია. ოჯახის უფროსს სხვა საწყენი ამბავიც დახვდა — კამჩის თურმე ძუძუ არ დაუნებებია მოსაწველად. ვისთვის არ დაუძახიათ, ვინ არ მისდგომია დაყვავებითა და ფერებ-ფერებით, მაგრამ ახლოსაც არავინ გაუკარებია. რაღას იზამდნენ, ბოლოს ისევ ზაქი მიუშვიათ გამოსაწველად.

— აუ, ჯიმა-ღურელი! — მუხლზე დაირტყა ხელი პარმენმა და მაშინვე წამოდგა — ერთი ტარო სმინდი გაგიწყდათ ამოდენა ოჯახში?!. რა გეშველებათ, მე რომ არ გეყოლებით მაშინ!..

კამჩის პატრონი შორიდანვე იცნო ფეხის ხმაზე, ფიცრული ბოსლის კედელი გააჯჯგუნა და საწყალობელი ყროყინი ამოუშვა. კარი შეაღო თუ არა, ჩაგუბებული ბინდიდან სახეზე შემოანათა ფოსფორული შუქით ცისფრად შეკვამლული თვალების წისქვილზე დაფქვილ სიმინდს, ოდის ფეხებთან მიწოლილი ზაქიც წამოიზლაზნა წელის ზნეკა-ზნეკით. პარმენი დრუნჩზე მიეალერსა, შემდეგ კი ხელი ფიურკამეჩისაც გადაუთათუნა ღამის სიცივით გასლეპულ, შავად მოკრიალე ზურგზე. „ლომამ“ უმალ მოიხელთა პატრონის გახევებულ-დაშაშრული ხელი და ხოიანი ენით ღონიერად გაულოკა.

პარმენი მაშინვე დატრიალდა: ძველ საწნახელში წინა ღამით ჩამბალი ჩალა პირის ბაგაში ჩაუკუწა ნამგლით, შემდეგ ჭიდან ვედროთი წყალი მოიტანა და გვერდზე მიუდგა. ვიღრე პირუტყვები გაეიეინებულ ჩალას მადიანად ახრამუნებდნენ, კენინს სურველი მოიმარჯვა, ჯერ „ლომას“ ჩამოფარცხა ზურგი და ფერდები, შემდეგ ზაქს. ბოლოს ხის გობიდან ამოღებული ტომრის ნაჭერი გაწურა და ორივეს ტანი გადაუზილა. „ლომა“ ნეტარებისაგან ფშვინავდა...

ერთბაშად გაკრიალებულ-გალამაზებული ფურკამეჩი ჭალაში ჩასარეკად ციმკარზე გადაიყვანა, და ხელი გავაზე სტაცა. „ლომა“ ცოტაზე წინ გავარდა, მაგრამ როგორც კი ფეხქვეშ ასფალტი იგრძნო, შერერდა და გრძელწამწამებიანი ლამაზი თვალებით დაწინაურებულ პატრონს მიაჩერდა. იმან რომ აღარ მოუხედა, ყურები უკმაყოფილოდ გააპარტყუნა, მბზვინვარე მოშვილდული რქებით დილის ჩაკვეთილი ჰაერი მიფხრიწ-მოფხრიწა და მთელი ხმით დაიყროყინა. თითქოს ამას ელოდაო, პარმენი შემობრუნდა, რამდენიმე ნაბიჯი კამეჩისაკენ გადმოდგა და თითის ქნევა-ქნევით ლაპარაკი გაუმა:

— შე ყოვლად წამხდარო, შე ეანგიანო, შენა!... ერთი დღით მოგაკლდა ჩემი ხელი და ამიტომ დაიბბოიყვე ქალები?!. მერედა რისთვის, ერთი ტარო სიმინდისათვის, ქალო?! სად დაკარგე სიტყვიერ-ნამუსი, ა?... დამავიწყდა, ბატონო... ქსენიასაც არ გაახსენდა.. დავბერდით და მოგვკალით ახლა, ჰე, ძველებურად ვეღარ ვწვდებით ყველაფერს, გაიგე!.. რას მომჩერებიხარ!.. ტყეილს ვამბობ თუ?!, ე, შენ მაინც შენსას არ მოიშლი, ვატყობ, წყალს ვნაყავ.—მუქყავისფერი, გამოხუნებული გრძელი პიჯაკის გარეთა ჯიბიდან სიმინდის ტარო ამოაძვრინა, უხმოდ ჩაიცინა და კამეჩს ისე დაანახვა, თითქოს ახარბებსო.— მოდი, მოდი, შენ რას გერჩი... ყველაფერი ჩემი ბრალია... შეგაჩვიე სიგლახეს, ნამეტან ფერებას და ხელის შემყურეობას.. ვითომ გუშინდელი ზაქი მყავდე... მოდი ჰო, შე ბებერო, შენ!. ჩემს მეტი სხვა ვინ შეგინახავს.. თან, კიდევ დიდ გულზე ხარ... მოდი-მეთქი, ჰო!..

კამეჩი გატრუნული უსმენდა, თითქოსდა პატრონის შეგონებასაყვედურმა მართლა სირცხვილზე ჩაადგოო. როგორც კი პარმენმა ზურგი შეაბრუნა და გზას დაადგა, ერთი ძლიერად შეტოკდა და უკან მიჰყვა. ჩამტერებულ მზერას არ აციცლებდა სიმინდის ტაროს, რომელიც კაცს ზურგსუკან დაწყობილ ხელებში ეჭირა და ნელნელა მარცვლავდა. როგორც კი პეშვს სავსეს დაინახავდა, კამეჩი კისერს წაიგრძელებდა მუქ ისფერ, ოხშივარადენილ სველ ენას გამოასავსებდა და სიმინდის მარცვლებს პირისაკენ გააქანებდა. ნელა მიჰყვებიან ჩამყუდროებულ გზას სოფლის თმაგათეთრებული პატრიარქი — ერთი უკანასკნელი დიდ გლეხთაგანი, და შეთხზელებული ნახირის შავოართიანი მწვენება — პატრონის ნებიერა ფურკამეჩი „ლომა“.

ᲘᲚᲘᲐ ᲠᲣᲠᲣᲐ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ᲐᲗᲘ მომმე რესპუბლიკის წარმოგზავნილი 23 თეატრალური დასისათვის პროფესიული ოსტატობის სკოლა გახდა თეატრის დღესასწაული, რომელიც 15 მაისს დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში. მოსკოველი და ლენინგრადელი, პერმელი და ჩელიაბინსკელი, ირკუტსკელი და კამჩატკელი, ბალტიისპირელი და შუაზიელი, უკრაინელი და ქართველი მსახიობები, რეჟისორები, სცენოგრაფები ათი დღის განმავლობაში აცნობდნენ მაყურებლებს კლასიკური ნაწარმოებებისა და თანამედროვეს ადამიანის სულისა და გულის მოძრაობა-კვეთებას, ნურფერს წაიკითხავს...

* * *

კარგა ხანია ველოდით რუსთაველელთა „მეფე ლირს“, მაგრამ თეატრი მარტოოდენ ერთი სპექტაკლით და ერთი ოცნებით როდი ცოცხლობს!

საჭირო იყო მართლაც ხანგრძლივი ჩაკვირვება, შეგნება ლირის ხასიათისა, მისი სულისკვეთების ამოცნობა, მისებრ მოხუცება და ამ სულიერი წიაღსვლების შედეგად იმ ზნეობრივი კათარზისის მიღწევა, რასაც ბლოკი ადამიანის გაადამიანურებას უწოდებდა და შექსპირის შემოქმედების უმთავრეს ხასიათად მიიჩნევდა.

შემოქმედი დამოუკიდებლობით ამაყობს, მაგრამ არის თუ არა მისთვის საყრდენი ტრადიცია? შეიძლება იგი გუმანითაც მიუახლოვდეს მას, სამაგიეროდ ახლებური ძალა და სული შთაბეროს.

როგორც ვნახეთ, ქართულ თეატრში „ლირს“ საკმაოდ სოლიდური ტრადიცია აქვს. აი, რას გვიამბობს ალექსანდრე იმედაშვილი:

„დიდ ხანს ვფიქრობდი „მეფე ლირის“ მომზადებაზე, მაგრამ ვერა ვბედავდი, რადგანაც ლირისათვის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი, ბოლოს, როგორც იქნა გადავწყვიტე და 1926 წლიდან შეუდექი მის შესწავლას.... რამდენადაც მეტს ვუკვირდებოდი და ვცდილობდი მისი გრძნობების და ხასიათის გახსნას, მით უფრო და უფრო შიში მიპყრობდა და ერთ-ხანად მინდოდა კიდეც თავი მიმენებებინა, მაგრამ ჯიუტობამ მძლია და დიდი ხნის მუშაობის და დაკვირვების შემდეგ მისი ხასიათის და გრძნობების სამ მთავარ (ირონიულ) ბაზეზე შევჩერდი და გადავწყვიტე უმთავრესად ამით მეხელმძღვანელა და ლირის პიროვნება ამ სამი ცვლ

უკანასკნელი

ფაქტები • მოვლენები

▼▼

ომისწინაღამდეგო ტრანსპარანტები, პლაკატები და ნახატები ამშვენებს რსფსრ-ის დედაქალაქის მშვიდობის პროსპექტზე შეგროვილ სკვერს. მათზე წაწერილია: „არ გვინდა ომი!", „მშვიდობა გვინდა", აქ 15 მაისს ღიღით ჩაიარა მშვიდობის მარშმა, რომელიც თბილისის 63-ე და 161-ე საშუალო სკოლების პიონერთა და მოსწავლეთა ინიციატივით მოეწყო. მარშში მონაწილეობდნენ რაიონის ახალგაზრდა მუშები, მეცნიერები და სტუდენტები, ომისა და შრომის ვეტერანები. მოსწავლეები აგროვებენ ხელმოწერებს მშვიდობის მოწოდებისათვის.

▼▼

ამას წინათ სოჭში „კომეტით" უწვეულო მგზავრი გაგზავნეს. ბადეში გამომწყვდეული სივუჩი თავის დაღწევას ცდილობდა და, რა თქმა უნდა, თავისებურად გამოთქვამდა უკმაყოფილებას. შინ ბრუნდებოდა კომანდორის სივუჩი „ბეღრჩა", ტატიანა და ვასილ ტიმონკოების ატრაქციონის მონაწილე სოჭის ცირკიდან გაქცეული სამიდან ერთ-ერთი ღტოვეული. ამ ამ-

ბავს ახლახან იუწყებოდა გაზეთი „პრავდა". აღვილი არ იყო მისი ორი თანამოძმის მოთვინიერებაც, რომელნიც სოუმისა და ღაზარევსკაიას რაიონში აღმოაჩინეს. მაღე სამივე ღტოვეული „კონცერტებით" კვლავ გაახარებს სოჭის ცირკის მაყურებლებს.

▼▼

საჰაერო ხიდი გაიდო სოფიასა და თბილისს შორის. პირველი რეისი 15 მაისს შეასრულა ბულგარეთის კომპანიის „ბალკანის" საჰაზაერო ავიალინიებმა. მისი მგზავრები იყვნენ ბულგარეთის ტრანსპორტის სამინისტროს წარმომადგენლები, ტურისტები, რომელთა საგზურებში აღნიშნულია მისამართი — საქართველო, ავიაკომპანიის ხელმძღვანელები, ბულგარეთის ფოდკლორული ანსამბლის მსახიობები.

ახლა საერთაშორისო საჰაერო ხაზები თბილისს აკავშირებს არა მატო სოფიასთან, არამედ ვარნასთან, დრეზდენთან, ბერლინთან, პრაღასა და ჰელსინკთან. დასახულია გაიხსნას თბილისი-ბუდაპეშტის მარშრუტი.

სურათზე: ბულგარეთის კომპანია „ბალკანის" ავიალინიების ეკიპაჟი.

ი. ულამოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

▼▼

სოხუმში კიევის დრამისა და კომედიის სახელმწიფო თეატრის გასტროლები დაიწყო სპექტაკლ „ამეღეთით", რომელიც თეატრის მთავარმა რეჟისორმა, უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ე. მიტნიცკიმ დადგა. საგასტროლო რეპერტუარშია საბჭოთა და საზღვარგარეთელი დრამატურგების პიესების მიხედვით შექმნილი სპექტაკლები — კალიკა და თანამედროვეობა. მათ შორის არის ო. იოსელიანის — „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი", ნ. დუმბაძის — „მარადისობის კანონი".

▼▼

თანამშრომლობის ხელშეკრულება დადო მოსკოველ კოლეგებთან თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივმა. მისამართი შემთხვევით როდი შეარჩიეს: მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი ამ დარგში ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებელია. სამი წლისათვის გათვალისწინებული ხელშეკრულება მიზნად ისახავს პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების ფართო გაზიარებას, მეცნიერულ კონტაქტებს. უკვე ამ ზაფხულს, ხელშეკრულების თანახმად, მოსკოვში პრაქტიკას გაივლის თბილისის ინსტიტუტის ფიზიკოგეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფი.



შეურაცხმყოფელი ... პატივი

პროტესტები ფრენკ სინატრასათვის პრემიის მინიჭების წინააღმდეგ

სან-ფრანცისკო. ამერიკის შეერთებული შტატების ზანგი საზოგადოებრიობის დიდი პროტესტი გამოიწვია გადაწყვეტილებამ ამერიკელი მომღერალი ფრენკ სინატრა დაჯილდოონ სპეციალური პრემიით „ხელოვნებაში ცხოვრების მანძილზე შეტანილი წვლილისათვის". იმის მიუხედავად, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ პრეტორიის რასისტებთან კულტურული კონტაქტების ბოიკოტი გამოაცხადა, სინატრა საგასტროლოდ მიემგზავრებოდა ხოლმე სამხრეთ აფრიკაში და იქ მართავდა კონცერტებს ერთ-ერთ მარიონეტულ „ბანტუსტანში".

„სამხრეთ აფრიკაში მისი გამოსვლები ხელს უწყობდა აპარტეიდის სისტემის მიზნებს და მილიონობით აფრიკელის ტანჯვის გაძლიერებას", — განაცხადა საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ტრანსაფრიკის" წარმომადგენელმა რენდოლ რობინსონმა.

კომიტეტს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება სინატრას დაჯილდოების შესახებ, წერილობითი პროტესტით მიმართა აპარტეიდის წინააღმდეგ მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ცნობილმა საზოგადო და რელიგიურმა მოღვაწემ ალან ბუსაკმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ზანგი საზოგადოებრიობის ორმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, რომლებსაც აგრეთვე მიწერილთ პრემიები, უარი თქვეს მონაწილეობა მიიღონ ლოს-ანჯელესის საზეიმო ცერემონიაში, სადაც ჯილდო უნდა გადასცენ სინატრას. „მისთვის პატივის მიგება შეეკანონთა შეურაცხყოფას ნიშნავს. ეს ვამბობ პრემიაზე, ვინაიდან არ მინდა სცენაზე სინატრასთან ერთად გამოსვლა", — განაცხადა კალიფორნიის შტატის საკანონმდებლო ასამბლეის წევრმა მეკსინ უოტერსმა.

● კოლუმბია

ტერორისტთა მსხვერპლი

ბოგოტა. ახალი დანაშაული ჩაიდინეს კოლუმბიაში ულტრამემარჯვენე ტერორისტული ორგანიზაციების წევრმა დაჭრაგებულმა მკვლელებმა, რომლებიც მოემზადებენ უკიდურესი რეჟიმის მითითებით. მათი მსხვერპლი გახდა მემარჯვენე ძალების პოლიტიკური გაერთიანების „პატრიოტული კავშირის" ერთ-ერთი აქტივისტი სან-მარტინის მუნიციპალიტეტში (შტატს დეპარტამენტი) მ. ტლინ ჩიკლიონი. იგი მოკლეს იმისათვის, რომ მხარს უჭერდა ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესს. (საკდესი).



„ᲓᲦᲘᲡᲐᲜᲘᲡ" ბოლნისის აეროკლუბის აეროდრომზე კლუბის წევრება საწვრთნელ მეცადინეობას გადიან მფრინავ-ინსტრუქტორის თემურ ჩახტიშვილისა და საპარაშუტო სპორტში ოთხგზის მსოფლიო რეკორდსმენის ვიქტორ ბონდარენკოს ხელმძღვანელობით.

ამჟამად აქ მეცადინეობს რამდენიმე ჯგუფი. 1,5-2 თვის თეორიული მეცადინეობის შემდეგ დაიწყება პრაქტიკული სწავლება პარაშუტით. სამი გადმოხტომის შემდეგ სპორტსმენებს მიენიჭებათ III თანრიგი. მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ წლის ყოველ დროს.

სურათებზე: საწვრთნელ მეცადინეობაზე პარაშუტით ხტება 108-ე საშუალო სკოლის — მე-8 კლასის მოსწავლე გალინა კოზირი.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

XI საერთაშორისო...

თბილისში მომდინარე მოჭადრაკე ქალთა ტურნირის თორმეტივე მონაწილეს თავისი კონკრეტული ამოცანები აქვს. ზოგი პირველი პრიზისათვის იბრძვის, ზოგიც დიდოსტატის ან საერთაშორისო ოსტატის ბალის ნორმის შესრულებას ცდილობს. ყოველივე ეს ამ საკმაოდ ხანმოკლე ტურნირის ყველა პარტიას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვინაიდან დანაკარგის ანაზღაურება ძალიან გაჭირდება. ამიტომაც იყო, რომ მეორე ტურის ექვსივე შეხვედრა მძაფრი ხასიათისა იყო.

ახალგაზრდა შვედი ნიუბერგი ნაკლებად გამოცდილი მოჭადრაკეა, მაგრამ, როგორც ეს ახმელოვსკაიასთან მისმა შეხვედრამ გვიჩვენა, თბილისში იგი „ქულების დასაგროვებლად" არ ჩამოსულა. ლაზიერის ჰაიკების დებიუტში ნიუბერგი თეორებით მონდომებით თამაშობდა და ახმილოვსკაიამ ინიციატივა ხელთ ვერ იგდო. პარტია დაახლოებით თანაბარ პოზიციაში გადაიდო. კარგად ითამაშა რუმინეთის ჩემპიონმა ეკმანმა. მან გამოიყენა კონსოლიოვას პოზიციის სისუსტე, მოიგო ხარისხი და მალე — პარტიაც. კახიანმა და არახამიამ გაითამაშეს კატალონური დასაწყისის ერთ-ერთი ვარიანტი. ამ დებიუტს კახიანი სისტემატურად მიმართავს, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც შეცდომა მოუვიდა. თეორების ცენტრალური პაიკები დასუსტებული აღმოჩნდნენ, რითაც კარგად ისარგებლა არახამიამ და შეძლო ეტლში ორი მსუბუქი ფიგურის მოგება. კახიანი შეეცადა ლაზიერის ფრთაზე ტაქტიკური მუქარა შეექმნა, მაგრამ არახამია ბოლომდე ზუსტად თამაშობდა და მდგომარეობის გამარტივების შემდეგ პირველი ქულა მოიპოვა. ბრძოლაში ჩაება ქუთაისელი ოსტატი ლაგვილავა. ახალგაზრდა მოჭადრაკემ ბულგარელ პეიჩევასთან ესპანურ პარტიას მიმართა, რომელიც მას კარგად აქვს შესწავლილი. ლაგვილავამ მეთოდური თამაშით შეავიწროვა მეტოქე, შემდეგ კი პაატა [illegible] იერეკას პოზიცია [illegible] ესდებოდა და მას კიდევ მოუნდა ორი პაიკის დათმობა. პარტია გადადიდო ლაგვილავასათვის მოსაგებ პოზიციაში. ხუგაშვილი კარგად თამაშობდა ლეშნერთან. მდგომარეობის გამარტივების მიუხედავად, თბილისელმა საგრძნობი უპირატესობა შეინარჩუნა. მისი ძლიერი ცენტრალური პაიკი პოლონელ მოჭადრაკეს ძლიან ზღუდავს და გადადებულ პარტიაში ხუგაშვილს მოგების შესაძლებლობები აქვს. ზაიცევამ აქტიურად წარმართა შეხვედრა ქასაშვილთან. მოსკოველმა დიდოსტატმა მეტოქის შეჯის ფრთა დაასუსტა, შემდეგ კი პირდაპირ იერიში დაიწყო. პარტია გადაიდო პოზიციაში, სადაც ქასაშვილის მეფე საკმარისად დაცული არ არის. ზაიცევა მოგების შესაძლებლობას ინარჩუნებს.

გ. გამრეკელი.

საფურნირო ორბიტა

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ. გრძელდება ტრადიციული მშვიდობის ველორბოლა. მეშვიდე ეტაპი (პრაღა-პარდუბიცე; 148 კმ მოიგო საბჭოთა სპორტსმენმა, ტაშკენტელმა ჯ. აბდუკაპოროვმა. მას ერთი წამით ჩამორჩა ჰოლანდიელი ტომ კორდეესი. მესამე იყო პოლონელი ზდისლავ ვრონა.

ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲘ. საბერძნეთის ქალაქ სალონიკში მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშების მეხუთე ტურში ერეთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — სსრ კავშირისა და გფრ-ის ნაკრები გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ (9:9) და ახლა ეს გუნდები 8-8 ქულით ლიდერობენ შეჯიბრებას.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲗᲘ. ვილნიუსში დაიწყო ი. გაგარინის მემორიალი ვაჟთა გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობენ დიდი ბრიტანეთის, ჩინეთის და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები, აგრეთვე აშშ-ს საკლუბო კოლექტივი „მარათონი კლმ". პირველ შეხვედრაში „მარათონმა" დაამარცხა ჩინელთა გუნდი ანგარიშით 104:85, საბჭოთა კალათბურთელებმა კი მოუგეს დიდი ბრიტანეთის სპორტსმენებს — 96:71.

ᲛᲫᲚᲔᲝᲜᲝᲒᲐ. ლესელიძეში დამთავრდა მტყორცნელთა პირადი საკავშირო ასპარეზობა საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის ხსოვნის პრიზზე. შუბის მტყორცნელთა შორის საუკეთესონი იყვნენ მინსკელი ნატალია ირმოლოვიჩი (66,36 მ) და ალმა-ათელი ვიქტორ ეფსიუკოვი (77,60 მ), თბილისელმა გენადი არჯევანიძემ 72,20 მ დაძლია და მეშვიდე ადგილზე გამოვიდა. მან საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა. არაერთგზის მსოფლიო რეკორდსმენმა, როსტოველმა სერგი ლიტვინოვმა გაიმარჯვა უროს ტყორცნაში (80,60 მ), ბრთვის კვრაში უძლიერესები იყვნენ ლენინგრადელი ლარისა ტელეშჩენკო (20,99 მ) და მოსკოველი სერგი გავრიუშინი (21,30 მ). ბადრო ყველაზე შორს ტყორცნეს მოსკოვის ოლქის წარმომადგენლებმა გალინა ერმაკოვამ (66,92 მ) და ევროპის ზაჩუნდელმა ჩემპიონმა, ვილნიუსელმა რომის უბარტასმა (66,72 მ). ამ ასპარეზობის მონაწილეები თბილისში ჩამოვლენ, სადაც 17 მაისს პირველად გამართავენ მტყორცნელთა საერთაშორისო პირადი შეჯიბრება მრავალჯერ მსოფლიო რეკორდსმენის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ნინო დუმბაძის ხსოვნის პრიზზე. მასში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის უძლიერესი მძლეოსნები.

რედაქტორი
გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

მოსკოვი

17 მაისი

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია". 9.00 — დოკუმენტური ტელეფილმი „ცხოვრების წერილმანები". 9.30 — რიტმული ტანვარჯიში. 10.15 — „სპორტლოტო". 10.30 — მალეიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — მოგზაურთა კლუბი. 13.30 — მუსიკალური კიოსკი. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — ჯანმრთელობა. 15.45 — მხატვრული ფილმი „ცეცხლი, წყალი და ... სპილენძის მილები". 17.10 — ახალი ამბები. 17.15 — უზბეკეთის ხელოვნების ოსტატთა და შემოქმედი ახალგაზრდობის კონცერტი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — მხატვრული ფილმი „მამებანი". I და II სერია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „ჩვენი უმაღლესი სკოლის გარდაქმნა". 0.10 — ახალი ამბები. 0.15 — საფეხბურთო მიმოხილვა. 1.00 — მშვიდობის ველოსიპედოსნობა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — წყაროები. 9.45 — კინოფურნალი „საბჭოთა სპორტი" № 2. 9.55 — პ. ი. ჩაიკოვსკის მუსიკის დღეფორტეპიანოსსა და ორკესტრისათვის პირველი კონცერტის ფინალი. ფანტაზია ორკესტრისათვის „ფრანჩესკა და რიმინი". 10.40 — ვოლგოგრადის ტელევიზიის სტუდიის პროგრამა. 11.40 — პ. ი. ჩაიკოვსკის სიმფონიური თეატრი. 12.50 — რუსული მეტყველება. 13.20 — პ. ი. ჩაიკოვსკი. № 3 სიუიტა სიმფონიური ორკესტრისათვის. 14.05 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 14.40 — პუშკინის სახელი პ. ი. ჩაიკოვსკის ოპერეტაში. 15.50 — „საბჭოთა კულტურის ფონდი. საქმენი და გეგმები". 16.50 — პ. ი. ჩაიკოვსკი. სიმფონია „მანფრედი". 17.55 — კალათბურთი. ი. ა. გაგარინის ხსოვნის აღსანიშნავი საერთაშორისო ტურნირი. ვაჟები. საბჭოთა კავშირის ნაკრები — ამერიკის შეერთებული შტატების „მარათონი". 19.40 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 20.00 — პ. ი. ჩაიკოვსკის რომანსებს ასრულებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ი. ლემეშევი. 21.00 — „ძმილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — მაგიდის ჩოგბურთი. სსრ კავშირის თასი. სასტენდო სრული. მსოფლიო თასი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — — უცხოური ფილმის ეკრანი. „კეთროვანი ქალი" (პოლონეთი).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

17 მაისი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია". 9.10 — მოამბე. 9.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.55 — მულტიპლიკაციური ფილმი — „საჰაერო მოგზაურობა". 10.10 — დილის გასართობი პროგრამა. 11.00 — სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები. 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — ხალხური შემოქმედება — „სიმღერის შესწავლა". 12.30 — საკვირაო გამოფენა — ა. ვარაზი. 12.35 — შემეცნებითი-გასართობი პროგრამა ახალგაზრდობისათვის (განმეორებით). 13.15 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეეკურსი. 13.45 — ხალხური შემოქმედება — „სტუმრად მომღერალთან". 14.30 — საკვირაო გამოფენა — ა. ვარაზი. 14.35 — რჩევა-დარიგება ახალგაზრდა დედებს. 14.50 — სპორტული ფილმების ფესტივალი. 15.15 — ვესტნიკი. 15.45 — მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლება გარდაქმნის გზაზე (სტუდიაში პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი). 16.15 — საკვირაო გამოფენა — ა. ვარაზი. 16.20 — „თბილისი და თბილისელები" — სატელევიზიო ჟურნალი. 17.00 — მოსწავლეთათვის — შეხვედრა რესპუბლიკის სახალხო არტისტთან გიორგი გეგეჭკორთან. 18.10 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 18.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი (მონაწილეობენ — საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს რ. ლაღიძის სახელობის სიმფონიური ორკესტრი და მ. თომაძე). 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — „ზღაპრის გუდა". 20.00 — მოამბე. 20.35 — კინოს სამყაროში. 21.55 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — ქართული მხატვრული ფილმი „ნატვრის ხე". 0.15 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.).

ᲛᲔᲢᲠᲝ

17 მაისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბაიადერა (აბონ. № 17, მე-7 წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდები დასვენა (დღისით), კონცერტი ორი ვიოლინისათვის, აღმოსავლური საკრავების თანხლებით (საღამოს); რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — სამანიშვილის დედინაცვალი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ზაჯოს ხიზნები; მინიატიურების სახელმწიფო — სიცრუის სიბრძნე; მეტეხის — განდეგილი; ბერიკონი — როკ-ჯგუფი „თეატრონი"; მოზარდ მაყურებელთა ქართული — ოს მაინც ბრუნავს (აბონ. № 3, 12 ს.); თავისუფალი თეზა (აბონ. № 24, 5 ს., აბონ. № 25 7 ს.); ფილარმონია (კონსერვატორიის დიდ დარბაზში) — საქართველოს სიმფონიური ორკესტრი.

რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ

საქმთამცარენერგოს ენერგოზედამხედველობა ერთხელ კიდევ აფრთხილებს ელექტროენერგიის დებტორული დავალიანების მქონე საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომ თუ ამა წლის 20 მაისამდე არ დაფარავენ მას, გამოირთვებიან ქსელიდან გაუფრთხილებლად.

საქმთამცარენერგოს ენერგოზედამხედველობა.

● ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

მიიღეს მნიშვნელოვანი რეზოლუციები

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ. ევენევის ეროვნებათა დარბაზში მუშაობა დაამთავრა ჯანმრთელობის დაცვის მე-40 მსოფლიო ასამბლეამ, რომელშიც მონაწილეობდა 166 ქვეყნის დაახლოებით 1200 დელეგატი. მისმა მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორისა და აღმასკომის საანგარიშო მოხსენება 1986 წელს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მუშაობის შესახებ და განიხილეს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც ეხება ამ ორგანიზაციის საქმიანობას. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ასამბლეამ მიიღო რამდენიმე რეზოლუცია, კერძოდ, შიდსის აღკვეთის გლობალური სტრატეგიისა და ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის, ბირთვული ომის შესაძლო შედეგების შესწავლის, ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არაბი მოსახლეობის ცხოვრების სამედიცინო-სანიტარიული პირობების შესახებ.

● ᲐᲨᲨ

ჰაიდერი ბრალს სდებს

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა ჩარლზ ჰაიდერმა რეიგანის ადმინისტრაციას ბრალად დასდო, რომ იგი განზრახ უმალავს ამერიკელ ხალხს სიმართლეს 2000 წლისათვის ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის საბჭოთა პროგრამის შესახებ. „ამერიკელებმა რომ იცოდნენ, როგორ ერთგულობს სსრ კავშირი მშვიდობას, თავიდან აიცილებდნენ ბირთვულ კოშმარს, რომლის საფრთხეც შეექმნა კაცობრიობას", — ნათქვამია პრესისათვის გავრცელებულ მის განცხადებაში. მაგრამ შეერთებული შტატების მოქალაქეებს არაფერს აგებინებენ საბჭოთა ინიციატივებთან დაკავშირებით, რომელთა მიზანია თანამედროვეობის საკვანძო პრობლემების გადაჭრა.

1986 წლის 15 იანვარს საბჭოთა ხელმძღვანელმა მიხეილ გორბაჩოვმა წამოაყენა განიარაღების კონკრეტული პროგრამა და მას შემდეგ არაერთგზის დაუდასტურებია იგი, თქვა თვალსაჩინო ამერიკელმა, მშვიდობისათვის მებრძოლმა და მეცნიერმა.

მსოფლიო განიარაღებას რომ მივაღწიოთ, გლობალური ბირთვული მოსპობა თავიდან რომ ავიცილოთ, განიარაღებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გამოვიტანოთ შეერთებული შტატების საზოგადოებრიობის გულახდილი მსჯელობისათვის, ამბობს ჩარლზ ჰაიდერი. ახლა, კენკენეური რა პრეზიდენტობის კანდიდატად, აღნიშნული საკითხები 1988 წლის საარჩევნო კამპანიაში შევიტანე როგორც მსოფლიო განიარაღებისათვის ჩემი პლატფორმის საფუძველი.

ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲝ

ᲔᲚᲕᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲯᲐᲓᲝᲔᲑᲔᲚᲘ

● ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲮᲘᲝᲒᲔᲑᲗᲐ ᲛᲝᲡᲘᲒᲚᲔᲡ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲔᲑᲘ ● ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲐᲓᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲬᲐᲡᲔᲑᲐ ● ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲩᲐᲘᲤᲣᲨᲐ

ᲓᲣᲑᲚᲘᲜᲘ. დუბლინში ორ დღეს დიდი წარმატებით მიმდინარეობდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ансამბლის გასტროლები სსრ კავშირის სახალხო არტისტის ნინო რამიშვილისა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტის თენგიზ სუხიშვილის ხელმძღვანელობით. დედაქალაქის კრიტიკა ერთხმად აღნიშნავს, რომ დახვეწილია ქართველი ნსახიობების ოსტატობა, მრავალფეროვანია კოსტიუმები, განსაკუთრებულია ცეკვების დადგმა.

ансამბლი პირველად როდი ჩამოდის ირლანდიაში. ბოლოს ქართველი მსახიობები დუბლინში გამოვიდნენ 1985 წელს. მაშინდელმა ოთხმა კონცერტმა დედაქალაქის უდიდეს ეროვნულ საკონცერტო დარბაზში დიდი წარმატებით ჩაიარა, მაყურებელი მოხიბლა ცეკლოვანმა და ექსპრესიულმა ქართულმა ცეკვამ.

წელსაც ირლანდიელი ხელოვნების შემფასებლები, რომლებიც უკვე იცნობდნენ თბილისელი მსახიობების ოსტატობას, ელოდნენ ახალ შეხვედრას. კონცერტებზე მოხვედრის მსურველთა რიცხვი ბევრად აჭარბებდა ბილეთების რიცხვს. წინა დღეს გაგლენიანი გაზეთი „აირიშ ტაიმსი" წერდა, რომ ансამბლის გამოსვლა „საოცარი და მომხიბვლელი სანახაობაა, რომელიც აუცილებლად უნდა ნახო". და გაზეთი სრულიადაც არ აზვიადებდა. წარმოდგენის პირველი წუთებიდანვე მაყურებელს იპყრობდა ცეკლოვანი ცეკვები, ლამაზი კოსტიუმები. იგი მოჯადოვა ცეკვა „სამიის" მკაცრმა სილამაზემ, რომელსაც ასრულებდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ინგა თეგზაძე, რუსუდან ბერიანიძე და ნანა მუქერია, მედოლეების — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის გიორგი შენგელიასა, ჯუმბერ ასლამაზიშვილისა და რევაზ ნაუყვნიას ვირტუოზულმა ოსტატობამ. წარმოდგენის შემდეგ მაყურებელი დიდხანს არ უშვებდა საბჭოთა მსახიობებს, დაუსრულებლად იწვევდა სცენაზე მქუხარე ტაშით. „როცა ансამბლის მთავარი ქორეოგრაფი და მისი ერთ-ერთი დამაარსებელი ნინო რამიშვილი წარმოდგენის შემდეგ სცენაზე გამოვიდა, მაყურებელი მას ახალი, დიდი ოვაციით შეხვდა", წერდა სოლიდური „აირიშ ტაიმსი". პრესა, რომელმაც დიდი შეფასება მისცა მამაკაცის ცეკვების დახვეწილ მოძრაობებსა და ვირტუოზულობას, აღფრთოვანებით წერდა ქალთა პარტიების სილამაზესა და გრაციოზულობაზე.

და მაინც შეეცადნენ ხელი შეეშალათ წარმატებისათვის. წარმოდგენების წინ ეროვნული საკონცერტო დარბაზის საფეხურებზე მაყურებლებს ურიგებდნენ პატარა ყვავილებს, რომლებზეც ლენტით მიკრული იყო ბარათი. ქსეროქსზე ნაუცბადევად გამოვლებულ ბარათში ყველასათვის უცნობი „ებრაელთა დაზარების ჯგუფის" წევრები ურჩევდნენ მაყურებლებს საბჭოთა მსახიობების ოსტატობით კი არ დამტკბარიყვნენ, არამედ ეფიქრათ იმაზე, თუ როგორ ირღვევა ადამიანის უფლებები სსრ კავშირში. მაგრამ მაყურებელმა ყურადღება არ მიაქცია პროვოკაციას, პირვრმა დემონსტრაციულად გადაყარა ურნებში ყვავილები ბარათებიანად.

მიუხედავად ამისა, წარმატება დამსახურებული იყო. ჩვენი მსახიობები, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბრისას ансამბლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა თენგიზ სუხიშვილმა, — ბევრს მუშაობენ. საგასტროლო მოგზაურობათა შორის მოკლე შუალედებში ახალ პროგრამას ვამზადებთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის. იმის შესახებ, თუ რაოდენ დაძაბულია ჩვენი გასტროლების პროგრამა, შეიძლება ვიმსჯელოთ იმით, რომ ირლანდიასა და ინგლისში თითქმის ორთვიანი მოგზაურობის შემდეგ, ансამბლი გამოვა შუა აზიის რესპუბლიკებში, ნოემბერში ჩავა მოსკოვში საბჭოთა ხელისუფლების 70 წლისთავის დღესასწაულზე მონაწილეობის მისაღებად, გარდა ამისა, გველის საზღვარგარეთ მოგზაურობა.

„ძნელი არ არის ასეთი ტემპით ცხოვრება? — ვეკითხები ансამბლის სოლისტს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ვლადიმერ გაბელიას. „ძნელია ხოლმე, — მეთანხმება იგი, — მაგრამ შეიძლება ბეღს უჩიოდე, როცა მთელი დარბაზი დგება და ტაშს გიკრავს? ჩვენ ბევრ დარბაზში გამოვსულვართ. ამერიკელი მაყურებელი თავის აღფრთოვანებას ყურისწამღები სტვენით გამოხატავს. ლათინური ამერიკის ქვეყნებში ჩვენ წარმოდგენელი ღრიალითა და ტაშით შეგვხვდნენ, ევროპელი მაყურებელი გაჰყვირის „ბრავოს" და ტაშს გვიკრავს. სადაც კი გამოვსულვართ, ყველგან გვიგრძნია, რომ ადამიანებს სიხარულს ვანიჭებთ, ამისათვის კი ღირს იცხოვრო ასეთი ტემპით".

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ансამბლს კარგად იცნობენ მრავალ ქვეყანაში. თავისი არსებობის მანძილზე იგი იყო მსოფლიოს 78 სახელმწიფოში, ბევრ მათგანში — რამდენჯერმე. ირლანდიიდან ქართველი მსახიობები ლონდონს გაეგზავნენ, აქედან იწყება მათი ტურნე დიდი ბრიტანეთის ქალაქებში. გაზეთი „აირიშ ტაიმსი", როგორც ჩანს, ურჩევდა ამ ქალაქების მცხოვრებლებს დასწრებოდნენ კონცერტებს, როცა წერდა: „თუ თქვენ მოახერხებთ იპოვოთ საკონცერტო დარბაზში მყუდრო ადგილი, დაიმალეთ იქ და დაელოდეთ ქართველი მსახიობების ახალ წარმოდგენას".

ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘ?

ᲡᲐᲜ-ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝᲓᲐᲜ (კალიფორნიის შტატი) რამდენიმე საათის სავალზე ასეთი უჩვეულო პეიზაჟი იშლება თვალწინ, სადაც უხვად არის გაბნეული მბრუნავი ქარის წისქვილები. აქ შვიდი ათასამდე ასეთი წისქვილი მოქმედებს, ოღონდ ისინი ამ რაიონში ელექტროენერგიის ძირითადი წყაროა. იაფი ენერგიის მისაღებად ქარის გამოყენება რამდენიმე წლის წინათ გადაწყვიტა ადგილობრივმა ენერგეტიკულმა კომპანიამ „უინდპაუერმა". ეს გადაწყვეტილება იმით იყო ნაკარნახევი, რომ რაიონი გვალვიანი ზონაა და არ არის მიწოდელექტროსადგურის მშენებლობისათვის ვარგისი მდინარეები.

ასეთი პრაქტიკა ფართოდ ვრცელდება ამერიკის ბევრ შტატში დასავლეთიდან აღმოსავლეთ სანაპიროამდე. ეს ხდება ორი მიზეზით: იაფი ენერგიის მიღების გამო, აგრეთვე გარემოს დაბინძურებისა საქმიანობის შედეგად, რომლებიც იბრძვიან მდინარეებზე ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის გამო ბ